აჭარა

www.gazetiajara.ge

გამოცემის 103-ე წელი

გამოდის: სამშაბათს, ხუთშაბათს, შაბათს

№53 (25.077) სამშაბათი, 23 - 24 მაისი, 2023 წ. 50 თეთრი

ბარომეტრი

ბარომოს ეროვნული სააგენტოს აჭარის ჰიდრომეტეოროლოგიური ობსერვატორიის ცნობით

დღეს მოსალოდნელია ცვალებადი მოღრუბლულობა, უნალექოდ, ცვალებადი მიმართულების ქარი – 10-15 მეტრი წამში, ტემპერატურა სანაპირო რაიონებში - 20-25, შიდამთიან რაიონებში - 18-23 გრადუსი სითბო.

ზღვის წყლის ტემპერატურა 16 გრადუსია, ატმოსფერული წნევა – 757 მილიმეტრი.

მომდევნო 2 დღეს ამინდი შენარჩუნდება.

კრიალოსა N იუსი

ლუქსემბურგში, ნატოს საპარლამენტო ასამბლეაზე ერთხმად დაამტკიცეს დეკლარაცია, რომელშიც ალიანსის მიერ საქართველოს მხარდაჭერაზეც არის საუბარი. დოკუმენტის მომზადებაში აქტიურად მონაწილეობდა საქართველოს დელეგაცია. დეკლარაციაში აღნიშნულია, რომ ნატოს საპარლამენტო ასამბლეა გმობს საქართველოს ორი რეგიონის განგრძობად ოკუპაციას, ამასთან, მხარს უჭერს ღია კარის პოლიტიკას საქართველოს, უკრაინის და ბოსნია-ჰერცეგოვინის საკითხში.

* * *

337 დევნილ ოჯახს საკუთრებაში გადაეცემა მათ მიერ ფაქტობრივად დაკავებული 342 საცხოვრებელი ფართი. ამის შესახებ პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის ხელმძღვანელობით გამართულ მთავრობის სხდომაზე იმსჯელეს. დევნილები საცხოვრებელ ბინებს საქართველოს სხვადასხვა ქალაქსა და მუნიციპალიტეტში მიიღებენ.

* * *

63 მუნიციპალიტეტში ენმ-ის რაიონული, საქალაქო ორგანიზაციების თავმჯდომარეები და პოლიტიკური საბჭოს წევრები აირჩიეს. „ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარის განცხადებით, დედაქალაქში არჩევნები არ ჩატარებულა, ეს არჩევნები „ნაციონალურ მოძრაობას“ წინ აქვს. „ნაციონალური მოძრაობის“ პოლიტსაბჭოს 90% არის დაკომპლექტებული პირდაპირი არჩევის გზით, ეს არჩევანი გააკეთა „ნაციონალური მოძრაობის“ ამომრჩეველმა ადგილზე და არ იყო მიღებული კაბინეტებში“, - აღნიშნა ლევან ხაბეიშვილმა.

* * *

პარლამენტის ბიურომ ფრაქცია „ნაციონალური მოძრაობის“ შემადგენლობიდან ოთხი დეპუტატის გარიცხვა ცნობად მიიღო. ბიუროს წარედგინა ფრაქციის მმართვა მათი რიგებიდან ბაჩუკი ქარდავას, ნატო ჩხეიძის, როსტომ ჩხეიძისა და ნიკა მაჭუტაძის გარიცხვის შესახებ. გადაწყვეტილება გასულ კვირას იუსტიციის უმაღლესი საბჭოს არამოსამართლე წევრობის კანდიდატების კენჭისყრას უკავშირდება, რა დროსაც მათი ხმებით საბჭოში სამი არამოსამართლე წევრი აირჩიეს.

* * *

დაფუძნდა პარტია „თაობები საქართველოსთვის“, რომლის თავმჯდომარედ ბიზნესმენი, ყოფილი პარლამენტარი შოთა შალელაშვილი აირჩიეს. „თაობები საქართველოსთვის“ მიზანი თაობების ერთობა, თაობათა მეგობრობა და საქართველოს კეთილდღეობაზე ზრუნვაა. ჩვენ გვინდა ყველა თაობის ადამიანი, ყველა ოჯახი ჩვენ გვერდით“, - აღნიშნა შალელაშვილმა.

მოამზადა
ია შველიძემ

ბათუმელები ქართული კულტურის დღეებზე – იერუსალიმში

მანანა ძიძიშვილი 598 24 94 97

„ქართული მუსიკის საღამო“, რომელიც ხელოვნების ცენტრის ART სალონის სცენაზე გაიმართა, შეიძლება ვთქვათ, რომ იმ პროგრამის გენერალური რეპეტიცია იყო, რომელსაც აჭარის დელეგაცია ისრაელში წარადგენს

ჩვენი ხელოვანები მონაწილეობენ ქართული კულტურის დღეებში, რომელიც იერუსალიმში ორ დღეს გაიმართება და საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს ეძღვნება.

ბათუმურ კონცერტში მონაწილეობდნენ მომღერლები: სოფო ხალვაში, ხათუნა დონდუა (დ-ო-ნდუა), აჩიკო გოგიტიძე, მორის მელაძე, ბათუმის სახელმწიფო მუსიკალური ცენტრის საოპერო დასის სოლისტები - ოთარ (ბაჩო) ნაკაშიძე, სულხან ჯაიანი, მუსიკალური ცენტრის სიმფონიური ორკესტრის კამერული შემადგენლობა (დირიჟორი დავით მუქერია, კონცერტმაისტერი - თამუნა თოფურიძე. მუსიკალური ვერსიის ავტორი არჩილ გიორგობიანი, რეჟისორი - ლაშა ბაშარული, მუსიკალური რედაქტორი-თეა მუქერია). გარდა ამ მომღერლებისა, კულტურის დღეებში მონაწილეობენ სახელმწიფო ვოკალური ანსამბლი „ბათუმი“ და სახელმწიფო ქორეოგრაფიული ანსამბლი „ხორუმი“. როგორც აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს კულტურის დეპარტამენტის უფროსმა თამარ გუდავამ გამგზავრების წინ გვითხრა, აჭარის მთავრობის, საქართველოს საელჩოს ისრაელში, აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს, ტურიზმის დეპარტამენტისა და ქალაქ ბათუმის მერიის ერთობლივი პროექტით, ქართული კულტურის დღეები იერუსალიმში ჩატარდება და ამით საქართველოს დამოუკიდებლობის დღე აღინიშნება ისრაელში. ეს არის ორდღიანი, ფართომასშტაბიანი ღონისძიება.

როგორც მაესტრო დავით მუქერიამ გვითხრა, ისრაელში გასამართ პროგრამაში შეიტანეს მხოლოდ ქართველი კლასიკოსების ნაწარმოებები, უკვდავი ქართული მელოდიები.

- არაერთ ქვეყანაში ვარ ნამყოფი, მაგრამ ისრაელში - არა. სხვაგვარი მოლოდინით მივდივარ. ამ ქვეყანას ჩემთვის რელიგიური დატვირთვაც აქვს და ამიტომ დიდი სიყვარულით და სიხარულით მივემგზავრები, - გვითხრა საოპერო მომღერალმა ოთარ (ბაჩო) ნაკაშიძემ.

გუშინ ისრაელში ქართული ფოლკლორის საღამო გაიმართა. თავიანთი ხელოვნება ანსამბლებმა „ბათუმი“ და „ხორუმი“ წარადგინეს. აჭარის მუზეუმის გაერთიანებამ რეგიონის მინიატურული კუთხე მოაწყო, სადაც აჭარიდან ჩასულებმა მასპინძლებს ბევრი აქტივობა შესთავაზეს.

დღეს ქალაქის ძველ უბანში გაიმართება კლასიკური და ფოლკლორული კონცერტი. ღონისძიებას დაესწრებიან სხვადასხვა ქვეყნის დიპლომატიური მისიების წარმომადგენლები, ასევე, ადგილობრივი მოსახლეობა .

გაზეთი „აჭარა“ თემას ხელოვანების ბათუმში დაბრუნების შემდეგ უფრო ვრცლად დაუბრუნდება.

დასაქმება - ჩვენი ქვეყნის მუდმივი პრობლემა და მისი მოგვარების გზები

5

თანაბარი შანსი - ტიპური და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებისთვის

6

გამოიწერეთ გაზეთი «აჭარა»!

ვისაც სურს მიიღოს მაქსიმალურად ზუსტი ინფორმაცია და ობიექტური ანალიზი არა მარტო ჩვენი რეგიონის, სრულიად საქართველოს პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული ცხოვრების მთავარი მოვლენების შესახებ, შესაბამისი თხოვნით მიმართოს სადისტრიბუციო ორგანიზაციას «ბათუმი ექსპრესი» (ქ. ბათუმი, ჭავჭავაძის ქ. №90, ტელ: 555 86 12 21). მისი დახმარებით თქვენს მისამართზე მიიღებთ გაზეთ «აჭარის» ყოველ მომდევნო ნომერს.

გამოიწერეთ და ითანამშრომლეთ გაზეთ «აჭარასთან»!

ჩვენთვის ძვირფასია თითოეული თქვენგანის აზრი!

წამოჭრილი პრობლემების შემთხვევაში დაგვიკავშირდით:

577 20 43 55.

ბათუმის ბულვარი საზღვაო სეზონისთვის ემზადება

ნაილე ხერთვისელი 27 48 93

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე თორნიკე რიფვაძე ბათუმის ბულვარში მიმდინარე სარეაბილიტაციო სამუშაოებს გაეცნო

ბულვარში მიმდინარეობს საჯარო და კერძო ობიექტების რეაბილიტაცია-განახლება. რეაბილიტაცია უტარდება კოლონადებს, ეწყობა საბავშვო კუთხეები, მიმდინარეობს გამწვანებითი სამუშაოები.

ბულვარის კოლონადის სარესტავრაციო სამუშაოები გულისხმობს მისი მთლიანი ზედაპირის და დეკორატიული ელემენტების პირვანდელი სახით აღდგენას. სარეაბილიტაციო სამუშაოები იწარმოება კულტურული მემკვიდრეობის კანონის შესაბამისად, რესტავრატორის ჩართულობით.

შშმ პირებისთვის ადაპტირებული ინფრასტრუქტურა მოეწყო - ტივტივა ეტლები ორ ლოკაციაზე ფუნქციონირებს. ძველ ბულვარში არსებული საბავშვო კუთხის განახლება-რეაბილიტაცია დასრულების ეტაპზეა. პროექტის ფარგლებში, ბავშვთა გასართობი კუთხე გაფართოვდა და განახლდა ინფრასტრუქტურა.

ბათუმის ბულვარში აქტიურ რეჟიმში მიმდინარეობს გამწვანების ღონისძიებები. საზაფხულო სეზონისთვის განახლებული კომპოზიციებით შექმნილ საყვავილე კლუმბებს 150 ათასზე მეტი დეკორატიული ყვავილის ჩითილი და სხვადასხვა ჯიშის ხე-მცენარე დაამშვენებს.

ბულვარში მიმდინარე სარეაბილიტაციო სამუშაოებს ბათუმის მერი არჩილ ჩიქოვანი, აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრი ჯაბა ფუტკარაძე, მთავრობის აპარატის უფროსი ჯაბა სურმანიძე და ბათუმის ბულვარის დირექტორი ლაშა მიქელაძე გაეცნენ.

შეხვედრა – მინისტრთან

ოთარ ცინარიძე 599 85 21 14

აჭარის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი ნინო ნიჟარაძე შუახევის მუნიციპალიტეტში სამედიცინო პერსონალს შეხვდა

შეხვედრაზე მინისტრმა სოფლის ექიმებსა და „ევექსის ჰოსპიტლები -შუახევის სამედიცინო ცენტრის“ წარმომადგენლებს სამინისტროს პროგრამული სიახლეები, სამომავლო გეგმები გააცნო და მათი მოსაზრებები მოისმინა. ნინო ნიჟარაძემ ისაუბრა წელს დაგეგმილ სიახლეებზე და აღნიშნა, რომ გაიზრდება საომარი მოქმედებების დროს დაღუპულთა ოჯახების ფინანსური დახმარება და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დამხმარე საშუალებებს დაემატება საკორექციო ორთოპედიული ნაწარმი. დაგეგმილია გადაუდებელი ქირურგიული მომსახურების თანაგადახდის დაფინანსებაც.

შეხვედრის შემდეგ ნინო ნიჟარაძე „ევექსის ჰოსპიტლები - შუახევის სამედიცინო ცენტრში“ მიმდინარე უფასო სამედიცინო აქციას დაესწრო, რომელიც აჭარის უმაღლესი საბჭოს ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტის ორგანიზებით ჩატარდა.

- სამინისტრო პერმანენტულად მართავს შეხვედრებს სამედიცინო პერსონალთან, ვინაიდან სწორედ მოსახლეობის, სამედიცინო საზოგადოებისა და სამოქალაქო სექტორის რეკომენდაციების გათვალისწინებით იგეგმება ყოველწლიურად მნიშვნელოვანი ცვლილებები ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მიმართულებით. შეხვედრა გავმართეთ შუახევის მუნიციპალიტეტში და ადგილზე გავეცანით ადგილობრივი სამედიცინო სფეროს წარმომადგენლების მოსაზრებებს, მათ ხედვებსა და საჭიროებებს, - თქვა მინისტრმა.

გალერეა და სახელოვნებო სკოლა წლის ბოლოს ახალმოსახლეობას იზეიმებს

ცოტნე ცაბაძე 27 48 93

წლებია, დაბა ხულოში არსებული სამხატვრო გალერეა შეუფერებელ შენობაშია განთავსებული

მოთხოვნებს მინიმუმამდე ვერ პასუხობდა სახელოვნებო სკოლის შენობა. მდგომარეობის გამოსასწორებლად სახელოვნებო სკოლისა და სამხატვრო გალერეის მშენებლობა დაიწყეს. სამშენებლო სამუშაოები აქტიურად მიმდინარეობს. ამ ეტაპზე შენობის ძირითადი, კონსტრუქციული ნაწილის მშენებლობა დასრულებულია, მიმდინარეობს ინტერიერის გაფორმება.

პროექტი, რომლის ბიუჯეტი 1 491 915 ლარს შეადგენს, 2022 წლის მაისში დაიწყო და 2023 წლის ბოლოს დასრულდება. შენობა ადაპტირებული იქნება სპეციალური საჭიროების მქონე პირებისთვის.

- მუნიციპალიტეტის სხვა ხელმძღვანელებთან ერთად, მიმდინარე სამშენებლო სამუშაოები მოვინახულე. არსებული მდგომარეობა იმის თქმის საფუძველს იძლევა, რომ წლის ბოლოს გალერეასა და სახელოვნებო სკოლას თანამედროვე

სტანდარტების შესაფერისი შენობა ექნებათ, - გვითხრა ხულოს მუნიციპალიტეტის მერმა ვახტანგ ბერიძემ.

კესარია მგელაძის ევროპული ოქრო, მარიამ ცეცხლაძის – ვერცხლი

მანანა ძიძიშვილი 598 24 94 97

13-21 მაისს ალბანეთის ქალაქ დურესში მიმდინარეობდა ევროპის სასკოლო ჩემპიონატი 7, 9 11, 13, 15 და 17 წლამდე ასაკის ჭაბუკთა და გოგონათა შორის, რომელიც შვეიცარიული სისტემით, 9 ტურად ჩატარდა. ჩემპიონატში 25 ქვეყნის 209 მოჭადრაკე მონაწილეობდა. საქართველოს ღირსებას 19 სპორტსმენი იცავდა

მთლიანად საქართველოს მოჭადრაკეთა მონაგარი 4 ოქროს, 2 ვერცხლისა და ამდენივე ბრინჯაოს მედალია.

წარმატებით გამოვიდნენ აჭარის წარმომადგენლები.

13 წლამდე გოგონათა შორის ბათუმელმა კესარია მგელაძემ 7-დან 6 ქულა დააგროვა და ჩემპიონის ტიტული დაისაკუთრა (მწვრთნელები - საერთაშორისო ოსტატები ნოდარ ლორთქიფანიძე და ნიკოლოზ მანაგაძე).

15 წლამდე გოგონათა შორის მარიამ ცეცხლაძემ 9-დან 6,5 ქულა დააგროვა და ვიცე-ჩემპიონი გახდა (მწვრთნელი - საერთაშორისო დიდოსტატი დავით მაღალაშვილი).

ვულოცავთ გოგონებს ამ გამარჯვებას და ახალ წარმატებებს ვუსურვებთ.

ხანძარი ლიკვიდირებულია

გუშინ ბათუმის პორტის სიახლოვეს, ზღვაში, კატარღას ცეცხლი გაუჩნდა. თვითმხილველთა

თქმით, შემთხვევის შედეგად არავინ დაშავებულა.

ადგილზე სამართალდამცავები და სამაშველო სამსახურის თანამშრომლები მუშაობდნენ.

ხანძრის გამომწვევი მიზეზი ჯერჯერობით უცნობია.

ამირან გურიელიძე

ამბები

შაბათ-კვირის ქრონიკა

ბათუმში, ურეხის დასახლებაში მდებარე სპორტული მოედანი და მასთან დაკავშირებული შენობები ბათუმის მერიამ „აჭარის ფეხბურთის ფედერაციას“ 10 წლის ვადით, უზუფრუქტის წესით გადასცა. შეთანხმების მიხედვით, ფედერაციამ აქ UEF-ს სტანდარტების შესაბამისი ინფრასტრუქტურ-

ის მოწყობა უნდა უზრუნველყოს, სასყიდლის სახით კი ბათუმის ბიუჯეტში ყოველწლიურად 500 ლარს შეიტანს. ფედერაციის წარმომადგენლის ინფორმაციით, ამ დროისთვის ბათუმში 12 საბავშვო-საფეხბურთო კლუბია ოფიციალურად რეგისტრირებული, მათ შორის, ზოგი ფასიანია, სკოლებში კი 3500-ზე მეტი ბავშვი ვარჯიშობს და მოთხოვნა ყოველდღიურად იზრდება. ურეხის სტადიონის ფართობი 8675 კვ მეტრია. ამ ქონებასთან ერთად ფედერაციას გადაეცა ორი შენობა და მცირე ზომის მიწის ნაკვეთი მიმდებარედ.

* * *

ბათუმიდან „ვინი პუჰი“ ლონდონში გაემგზავრა, სადაც ბაბუა ანუ ალან მილნის პერსონაჟი „ვინი პუჰი“ მოინახულა. ამ იდეაზე აგებული სამეპიზოდიანი საპრემიერო ჩვენებები ბათუმის თოჯინებისა და მოზარდ მაყურებელთა პროფესიულ სახელმწიფო თეატრში შედგა. რეჟისორის ჩანაფიქრი სპექტაკლისთვის შემეცნებითი ხასიათის დატვირთვის მიცემა იყო. სპეციალურად ამ სპექტაკლისთვის შეიქმნა თოჯინები, კოსტიუმები და დეკორაცია. ბილეთები სპექტაკლის დაანონსებისთანავე გაიყიდა, თუმცა მაყურებელს მისი ნახვის საშუალება მიმდინარე სეზონზე ხშირად მიეცემა.

* * *

აჭარაში „ნაციონალური მოძრაობის“ რაიონული თავმჯდომარეები აირჩიეს, ისე რომ ექვსივე მუნიციპალიტეტში არცერთ კანდიდატს კონკურენტი არ ჰყავდა. ბათუმის ორგანიზაციას ლეგან ანთაძე, ქობულეთის - ბონდო თედორაძე, ხელვაჩაურის - მიშა ბოლქვაძე, ქედის - რამინ ბერიძე, შუახევის - ნუგზარ ამაღლობელი, ხულოს ორგანიზაციას კი ირაკლი ჯორბენაძე უხელმძღვანელებს. არჩევნები ელექტრონული ფორმით გაიმართა. ამბობენ, რომ მათთვისაც არასასიამოვნო იყო პარტიის წარმომადგენელთა ნაწილის მხრიდან არჩევნებში მონაწილეობაზე უარის თქმა. „ნაციონალურ მოძრაობაში“ გეგმები უკვე დასახულია, შემდგომ ნაბიჯებად აქციებსა და სხვადასხვა აქტივობას განიხილავენ. კომენტარი არ გააკეთეს „ნაციონალური მოძრაობის“ მეორე ფლანგის ნიკა მელიას მხარდამჭერებმა, შესაბამისად, ჯერ უცნობია, რა ფორმით გააგრძელებენ პარტიაში მუშაობას, სადაც არც პოლიტსაბჭოს აღიარებენ ლეგიტიმურად და არც რაიონული თავმჯდომარეების არჩევაში მონაწილეობდნენ.

მოამზადა
ნაირა ფუტკარაძემ

„საქართველო უნდა იდგეს თავისი ეროვნული იდეის - ევროპულ ოჯახში ინტეგრაციის სადარაჯოზე“

ლაშა ხომერიკი 593 50 82 69

საქართველოს პოლიტიკური ტემპერატურა კვლავ მაღალია როგორც საშინაო, ისე საგარეო კუთხით: პოლიტიკური სპექტრი არაოფიციალურად ჩაება საარჩევნო მარათონში - მმართველი პარტია რეგიონებში მოსახლეობას ხვდება, დროდადრო ქვეყნის პრეზიდენტს აკრიტიკებს, რომ აღარაფერი ვთქვათ ოპოზიციაზე, რომელსაც ანტისახელმწიფოებრივ ქმედებებში ადანაშაულებს

ეს უკანასკნელი, ძირითადად, ურთიერთდაპირისპირების რეჟიმშია. მაგალითად, „ნაცმოძრაობაში“ შიდა განხეთქილება თვალშისაცემია. რაც შეეხება გარე ფაქტორებს, ჩვენი ქვეყანა ზესახელმწიფოთა ინტერესების არეალშია. ევროკავშირი და რუსეთი ამ მხრივ აქტიურობენ, რუსეთი რბილი ძალის პოლიტიკას ატარებს, რათა საქართველომ კანდიდატის სტატუსი ვერ მიიღოს. ამ და სხვა საჭირბოროტო კითხვებზე პასუხისთვის საჯარო მმართველობის დოქტორს, ბსუ-ის ლექტორ **ბიბა ფარტენაძეს** *მივმართეთ.*

- ვიდრე კონკრეტულ მოვლენებზე ვისაუბრებდეთ, როგორ შეაფასებთ ქვეყანაში არსებულ ვითარებას?

- ბოლოდროინდელ მოვლენებს თუ გადავავლებთ თვალს, კარგად დავინახავთ, რა გამოწვევების წინაშე უწევს ყოფნა ჩვენს ქვეყანას. პირველი - ეს არის რუსული მცოცავი ოკუპაცია, რის შედეგადაც გრძელდება ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის უკანონო დევნა და თავისუფლების შეზღუდვა. ამის ფონზე საჩინოა რუსეთის მოქალაქეების უკონტროლო შემოსვლა საქართველოს ტერიტორიაზე არა ტურისტული, არამედ გრძელვადიანი მიზნებით და ქართველების მიგრაცია სხვადასხვა ქვეყანაში. ამას ემატება ახალი, გამარტივებული, პირდაპირი ფრენების აღდგენა ოკუპანტი სახელმწიფოს მიერ და სავიზო რეგულაციების მოხსნა, რაც მიზანმიმართულ საფრთხედ შეგვიძლია მივიჩნიოთ კანდიდატის სტატუსის მოპოვების გზაზე. აღნიშნული ფაქტორების გათვალისწინებით, შეგვიძლია ჩავთვალოთ, რომ ქართული ეკონომიკა, რომელიც დღეს გარკვეულ სარგებელს ნახულობს ამ პოლიტიკით, უფრო კონკრეტულად კი რუსი „ტურისტების“, ბიზნესმენების საქართველოში გადმოსახლების, უძრავი ქონებისგან მიღებული შემოსავლების და სასაბუთო პირობების შექმნის ფონზე, თანაც რუსეთის ომის დამნაშავე ქვეყნად გამოცხადების და დასანქცირების პირობებში, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ სისხლის საერთაშორისო სასამართლომ რუსეთი ჩვენს ქვეყანასთან 2008 წლის ომის დაწყებისთვის დამნაშავედ ცნო, ამიტომ ზემოხსენებული ეკონომიკური სარგებელი დროებითია და ასეთმა ვითარებამ შეიძლება დიდი ზიანი მოუტანოს საქართველოს ეკონომიკას მაშინ, როდესაც რუსეთი უკრაინაში დამარცხდება. აღნიშნულ ჩამონათვალს უნდა დაემატოს ქართული პოლიტიკის „შემოქმედთა“ ღირებულებითი და იდეოლოგიური დეფიციტი, ვიწრო პოლიტიკურ ინტერესებს ამოფარებულ ადამიანთა მოჯადოებული წრე, რაც ორმაგად ბუნდოვანს ხდის ზემოთ ჩამოთვლილი გამოწვევებისა და პრობლემების მოგვარების შესაძლებლობას.

- ექსპერტი გია ხუხაშვილი აცხადებს, რომ „საქართველოსთვის ძალიან სახიფათო ეტაპი დგას, მოხდა დემოგრაფიული ექსპანსია - რუსეთის დაახლოებით 150 ათასი მოქალაქე ჩამოსახლდა და მათ ანგარიშზე მილიარდ დოლარზე მეტია, რაც საქართველოს ეკონომიკურ ექსპანსიასა ხმარდება“. რას ფიქრობთ?

- საქართველოს ხელისუფლება ცდილობს, აღნიშნული მოცემულობა სათავისოდ გამოიყენოს, გარკვეული სტიმულირება მოახდინოს ქართულ ეკონომიკაში, თუმცა ამ ყველაფერს აქვს ერთი ძალიან დიდი „მაგრამ“... დავსვათ კითხვა - უკრაინაში რომ არა ომი, შემდეგ კი საყოველთაო მობილიზების გამოცხადება რუსეთში, ექნებოდა თუ არა რომელიმე რუს მოქალაქეს, ბიზნესმენს საქმიანობის საქართველოში გადმოტანის სურვილი? აღარაფერს ვამბობ იმ რაოდენობაზე, რაც სტატისტიკურად გვაქვს მოცემული. სკეპტიკურად ვარ განწყობილი საიმისოდ, რომ ვთქვა „კი“. რას შეიძლება გვეუბნებოდეს ეს? ხვალ რომ ჩვენს ქვეყანაში შეიქმნას სიტუაცია, სადაც ეს მოქალაქეები თავს არაკომფორტულად იგრძნობენ, ისევე გაეცლებიან ჩვენს ქვეყანას, როგორც თავიანთი სამშობლო მიატოვეს. ამის ფონზე საქართველო აღმოჩნდება ეკონომიკური შოკის პირისპირ. ეს ყველაფერი მოხდება სწორედ იმიტომ, რომ გადინების პროცესის მართვა, ფაქტობრივად, შეუძლებელი და კონტროლს დაუქვემდებარებელი იქნება საქართველოს ხელისუფლებისთვის. არ არსებობს პრევენციული ღონისძიებები ამ პროცესის შესაჩერებლად. სწორედ ამიტომ ჩვენი ქვეყანა აქცენტს უნდა აკეთებდეს არა დღევანდელ, მოკლევადიან სარგებელზე, არამედ გრძელვადიან ეკონომიკურ თუ პოლიტიკურ დივიდენდებზე.

- რუსეთი რბილი ძალის პოლიტიკას განაგრძობს, პუტინმა აღადგინა საქართველოსთან საჰაერო ფრენები. რუსეთის ეს ნაბიჯი რისი მანიშნებელია?

- თავშივე მინდა განვმარტო, თუ რატომ დღეს და მაინცდამაინც ახლა მოხდა ფრენების აღდგენა - ეს ემსახურება ჩვენი ქვეყნისთვის კანდიდატის სტატუსის მინიჭების საკითხის მიზანმიმართულ საბოტაჟირებას, რადგან ასე ახლოს და ასე რეალური ჩვენი ქვეყნისთვის ევროპულ ოჯახში ინტეგრაციის შესაძლებლობა არ ყოფილა დამოუკიდებლობის მოპოვების დღიდან დღემდე. რუსეთის ხელისუფლებას აქვს შემდეგი სტრატეგია: რადაც უნდა დაუჯდეს - კავკასიის რეგიონზე ზეგავლენის შენარჩუნება. საქართველოსთან მიმართებით ის იყენებს „რუსულ ჩექმას“, რომლის შედეგია მცოცავი ოკუპაციაც (ამან ვერ შეაჩერა ჩვენი ქვეყნის ევროატლანტიკური კურსი, პირიქით - ორმაგ მოტივაციის წყაროდ ვაქციეთ ეს მოცემულობა), რა თქმა უნდა, მიმართავს ჰიბრიდული, „რბილი ძალის“ ტაქტიკასაც, ანუ „თუ არ გაჭრა ძალამ, აცდუნე, მოატყუე, წააქეზე ის“. საჰაერო ფრენების დანიშვნაც, ზემოაღნიშნულთან ერთად, ამის შემადგენელი ნაწილია.

- კრემლის საპასუხოდ საქართველოს პრეზიდენტი რუსეთის მოქალაქეებისთვის სავიზო რეჟიმის დაწესებას ითხოვს...

- საქართველო უნდა იდგეს თავისი ეროვნული იდეის - ევროპულ ოჯახში ინტეგრაციის სადარაჯოზე და ამისთვის ყველაფერს უნდა აკეთებდნენ ქვეყნის ოფიციალური უწყებები. თუ პრეზიდენტის ეს ინიციატივა დააახლოებს ჩვენს ქვეყანას ევროპასთან, ეს კარგია, მით უფრო - დღევანდელ მოცემულობაში, როდესაც მთელი მსოფლიო ერთად იბრძვის ბოროტების შესაჩერებლად და ჩვენი მოკრძალებული წვლილიც უნდა შევიტანოთ ამ პროცესში.

- ექსპერტთა თქმით, თქვენი მოსაზრებითაც, პუტინის ზემოაღნიშნული გადაწყვეტილება საქართველოსთვის კანდიდატის სტატუსის მინიჭების ჩასაშლელად გაკეთდა... 12 პუნქტის შესრულების კუთხით რა მოცემულობა გვაქვს?

- ამასთან დაკავშირებით ერთი საკვანძო საკითხი უნდა გადაწყდეს - პოლარიზაცია დასრულდეს. სამწუხაროდ, პუტინის ამ გადაწყვეტილებამ, შემდეგ კი ოფიციალური თბილისის პოზიციამ დეპოლარიზაცია კიდევ უფრო გააღრმავა და ჩვენი ქვეყანა ნაკისრ ვალდებულებებს დააშორა.

- ცხადია, დასავლეთი გამადიდებელი შუშით აკვირდება საქართველოში მიმდინარე მოვლენებს. ის, რომ საპარლამენტო უმრავლესობამ ოპოზიციას საგამოძიებო კომისიის შექმნის უფლება არ მისცა, მიუხედავად იმისა, რომ 50-მა დეპუტატმა ამას მხარი დაუჭირა, რაზე მეტყველებს?

- როგორც ვიცით, ოპოზიცია ორ საკითხზე ითხოვდა საგამოძიებო კომისიის შექმნას - აშშ-ის მიერ სანქცირებული მოსამართლეების საკითხსა და „ქოლცენტრების“ საქმეზე. მიმაჩნია, რომ ამ შემთხვევაში კომისიის შექმნა სწორი გადაწყვეტილება იქნებოდა, რადგან ყოველგვარი სპეკულაცია და ვარაუდი ამ საკითხის ირგვლივ სრულად თუ ვერა, მეტწილად მაინც აღმოიფხვრებოდა.

- ვხედავთ, რომ ოპოზიცია დაქსაქსულია. ქვეყნდება სხვადასხვა სოციოლოგიური გამოკითხვის შედეგები, სადაც როგორც ხელისუფლების, ისე ოპოზიციის რეიტინგი შემცირებულია...

- ბოლოდროინდელმა მოვლენებმა ცხადყო, რომ საქართველოში ქართული ოპოზიციის სუბიექტებს არ აქვთ არც იდეოლოგიური, არც ღირებულებითი კავშირი ერთმანეთთან, ეს კი ჩვენი ქვეყნის წინაშე არსებული ურთულესი გამოწვევებისა და პრობლემების მოგვარების აუცილებელი წინაპირობაა.

- ოპოზიციის ნაწილმა ერთობის სიკეთეებზე დაიწყო საუბარი, თუმცა „ლელო საქართველოსთვის“ „ნაციონალებს“ ემიჯნება... როგორ შეაფასებთ ვითარებას?

- ოპოზიციურ პარტიებს არ უნდა მოვთხოვოთ, რომ ყველა საკითხში ერთნაირად აზროვნებდნენ. არც ქართული საზოგადოება ითხოვს ამას, თუმცა არსებობს ეროვნული მნიშვნელობის საკითხები, როგორებიცაა რუსეთისგან მომდინარე საფრთხეებთან გამკლავება, ევროინტეგრაცია, განათლება და ასე შემდეგ, რომელთა ირგვლივაც ვერ ვხედავთ ერთიანობას ქმედებებით. შეძლებენ თუ არა ზემოთ ჩამოთვლილი პარტიები ეროვნულ საკითხებთან დაკავშირებით გაერთიანებას, სამწუხაროდ, ძნელია ვარაუდი.

- რა უშლის ხელს მესამე ცენტრის შექმნას და ვის შეუძლია, ამაზე რეალური პრეტენზია განაცხადოს?

- როგორც მმართველმა ძალამ, ისე ოპოზიციამ ყველაფერი გააკეთეს, რომ საზოგადოებაში პოლიტიკური პარტიებისადმი ნიჰილიზმი გაღვივებულიყო. დღეს ქვეყანაში არ არსებობს მესამე ძალა და, ქართულ პოლიტიკურ სპექტრს თუ გადავხედავთ, ოპტიმიზმიც ბუნდოვნად მოსჩანს.

- სოციოლოგიურმა გამოკითხვამ ისიც აჩვენა, რომ „გადაუწყვეტელი“ ამომრჩეველი საკმაოდ ბევრია - დაახლოებით 40 პროცენტი. ოპოზიცია რამდენად თანმიმდევრულია, მათი ხმები რომ მიიღოს?

- ზემოთ ნახსენები ნიჰილიზმია სწორედ ამ პროცენტული მაჩვენებლის მიზეზი. დიახ, დღეს საქართველოში ძალიან ბევრი ოპოზიციურად განწყობილი მოქალაქე გვყავს, მაგრამ არც ერთი - ოპოზიციური პარტიის სასარგებლოდ.

- გვერდს ვერ ავუვლით „ნაცმოძრაობაში“ შექმნილ ვითარებას. ნიკა მელიამ პარტია ჩრდილოვან მმართველობაში დაადანაშაულა, თავის მხრივ ცისკარიშვილმა მელიას ხელისუფლებასთან ალიანსში დასდო ბრალი.

- ის, რაც „ნაცმოძრაობაში“ ხდება, სრულად ანგრევს ამ პარტიის რეპუტაციას. პოლიტიკური პარტიის თავმჯდომარეს მისი გადარჩევის შემდეგ სდებდე ბრალს ხელისუფლებასთან კოლაბორაციაში იმაზე მიუთითებს, რომ პარტიაში ტექტონიკური ძვრები ხდება და ბიძგები იმდენად ღრმად არის წასული, რომ შეუძლებელი ხდება ვითარების გაჯანსაღება. ეს მათ მხარდამჭერთა რაოდენობასაც შეამცირებს.

- დროდადრო საქართველოს პრეზიდენტი ხელისუფლებას აკრიტიკებს. 31 მაისს ის ევროპარლამენტში სიტყვით უნდა გამოვიდეს. რისი მოლოდინი გაქვთ?

- სამწუხაროდ, ჩვენ ჯერ კიდევ არ ვიცით, გამოიყენებს პრეზიდენტი თუ არა ამ უნიკალურ და უიშვიათეს შესაძლებლობას, ჩავა თუ არა ბრიუსელში... იმ დროს, როდესაც ჩვენი ქვეყანა კანდიდატის სტატუსის მინიჭების გადამწყვეტ ეტაპზე იმყოფება, ქვეყნის პირველი პირების ვიზიტი ბრიუსელში თუ ევროპის ნებისმიერ ოფიციალურ უწყებაში უნდა ვაქციოთ შანსად, რათა დავეხმაროთ ჩვენს ქვეყანას ამ გადამწყვეტ პროცესში, რათა საქართველოს სასიკეთოდ გადაწყდეს საკითხი. უნდა ვარწმუნებდეთ თითოეულ ევროპარლამენტარს, ევროკავშირის წევრ თითოეული სახელმწიფოს ლიდერს, რომ საქართველო თავისი მიღწევებით, გატარებული რეფორმებითა და მოსახლეობის უდიდესი ნაწილის მიერ გაცხადებული კურსით იმსახურებს კანდიდატის სტატუსს და მზად არის, გადავიდეს ევროკავშირთან ურთიერთობის ახალ საფეხურზე. ჩვენი ქვეყნის ევროინტეგრაციის ბედი წყდება დღეს და ამისთვის ყველამ ერთად შეუძლებელი უნდა შევძლოთ, რადგან მსგავსი შანსის გამოუყენებლობას ისტორია არ გვაპატიებს.

- დაბოლოს, ყველა ელოდება უკრაინის კონტრშეტევას, ახლა ომის რა ფაზაა და რამდენად დაუშვებს დასავლეთი უკრაინის უპირობო გამარჯვებას?

- უკრაინის ბრძოლისუნარიანობის მთავარი წყარო დასავლეთის მხარდაჭერაა, სწორედ ასეთი მხარში დგომით შეძლებენ და დაამარცხებენ უდიდეს ბოროტებას, რომელსაც დღეს პუტინის რუსეთი ჰქვია. დიახ, როგორც პრეზიდენტმა ზელენსკიმ განაცხადა, იქნება კონტრშეტევა, რომელსაც ყველანი სულმოუთქმელად ველით. უკრაინის გამარჯვება ნიშნავს სიმშვიდეს ევროპაში და თავისუფლებას - კავკასიის რეგიონში.

უცხოეთი

აშშ-ის პრეზიდენტმა ჯო ბაიდენმა უკრაინელ კოლეგა ვოლოდიმირ ზელენსკისთან შეხვედრის შემდეგ კიევისთვის ახალი სამხედრო დახმარების შესახებ გამოაცხადა. 375 მილიონი დოლარის ღირებულების პაკეტი საარტილერიო ჭურვებს, ჯავშანტექნიკასა და ტანკსაწინააღმდეგო იარაღს მოიცავს. თეთრი სახლისა და უკრაინის ლიდერები ერთმანეთს „დიდი შვიდეულის“ სამიტის ფარგლებში შეხვდნენ. ბაიდენმა უკრაინა-რუსეთს შორის მოლაპარაკებების საკითხზე საუბრისას აღნიშნა, რომ ქვეყნის ტერიტორიულ მთლიანობასა და სუვერენიტეტზე მოლაპარაკება შეუძლებელია.

* * *

ბრაზილიის პრეზიდენტი ლუის ინასიო ლულა და სილვა აცხადებს, რომ საჭიროა უკრაინის საკითხზე გაეროს სამიტი ჩატარდეს. „გაეროში უკრაინის ომის განხილვა აუცილებელია. ჩემი პრეზიდენტობის ხუთი თვის განმავლობაში არავის მივუწვევივარ გაეროს შეხვედრაზე ამ ომის განსახილველად. შეგვიძლია, გენერალური ასამბლეის შეხვედრა, რომელიც, ჩვეულებრივ, სექტემბერში იმართება, ომის საკითხის განსახილველად ივნისში ან ივლისში გადმოვიტანოთ“, - აღნიშნა ბრაზილიის პრეზიდენტმა. მისივე თქმით, ასეთ ღონისძიებაზე სასაუბროდ უნდა მოიწვიონ როგორც რუსეთის პრეზიდენტი ვლადიმერ პუტინი, ასევე უკრაინის პრეზიდენტი ვოლოდიმირ ზელენსკი, რასაც შესაბამისი დისკუსია მოჰყვება.

* * *

ბულგარეთში დემონსტრანტებმა მთავრობას უკრაინის დახმარების შეწყვეტისკენ მოუწოდეს. დემონსტრაციის ორგანიზატორები რამდენიმე არასამთავრობო ორგანიზაცია და პროორუსული განწყობის ადამიანები იყვნენ. აქციის მონაწილეებს შორის იყვნენ ანტიევროპული პარტია „აღორძინების“ წევრები და დეპუტატები. დემონსტრაციაში მონაწილეობა ათასამდე ადამიანმა მიიღო. მომხდარს ევროპარლამენტის პრეზიდენტი რობერტა მეცოლა გამოეხმაურა და აღნიშნა, რომ ევროკავშირი უკრაინის მხარდაჭერას განაგრძობს.

* * *

საბერძნეთის საპარლამენტო არჩევნებში „კონსერვატორები“ ლიდერობენ. წინასწარი შედეგებით, მოქმედ პრემიერ-მინისტრ კირიაკოს მიცოტაკისის პარტიამ „ახალი დემოკრატია“ ამომრჩეველთა ხმების 40,8 პროცენტამდე მიიღო, მემარცხენე პარტია „სირიზას“ კი, რომელსაც ყოფილი პრემიერი ალექსის ციპრასი ხელმძღვანელობს, 20,1 პროცენტიანი მხარდაჭერა აქვს. სოლიდური უპირატესობის მიუხედავად, მიცოტაკისის გუნდი პარლამენტში უმრავლესობის მოპოვებას, სავარაუდოდ, ვერ შეძლებს.

* * *

ისრაელში საპროტესტო გამოსვლები გრძელდება. პრემიერის მიერ ინიცირებული სასამართლო რეფორმა თელ-ავივში ასობით ათასმა ადამიანმა გააპროტესტა. აქციის მონაწილეებმა ბენიამინ ნეთანიაჰუ სასამართლო სისტემაზე კონტროლის დამყარების მცდელობაში კიდევ ერთხელ დაადანაშაულეს. მათი თქმით, მთავრობის მიერ ინიცირებული რეფორმა საფრთხეს უქმნის სასამართლოს დამოუკიდებლობას. რეფორმა საშუალებას მისცემს მთავრობას, უგულებელყოს სასამართლოს ის გადაწყვეტილებები, რომლებიც საკანონმდებლო ცვლილებებს უკავშირდება.

მოამზადა
ია შველიძემ

გამოწვევების დაძლევის გზებს თანამოსაქმეებთან ერთად პოულობს

ოთარ ცინარიძე 599 85 21 14

ჩვენი სტუმარია შუახევის მერის მოადგილე გურამ ზოიძე

- სოფელი, საჯარო სამსახური ჩემთვის ცხოვრებისა და საქმიანობის არცერთ ეტაპზე უცხო არ ყოფილა. 11 წლის წინ შუახევის რაიონის გამგებლის მოადგილეობა დამეკისრა. მაშინდელ ხელმძღვანელ ტარიელ ებრალიძესთან ერთად აქტიურად ვიყავი ჩართული ცალკეული პროგრამებისა და პროექტის განხორციელებაში. 8 წლის განმავლობაში წარმომადგენლობით ორგანოში ფრაქციის თავმჯდომარისა და საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის პოზიციაზე ვიმუშავე. ახალდაბაში მცხოვრებისთვის სოფელი, მის მომავალზე ზრუნვა ჩემი და თითოეული თანაგუნდელის საქმიანობის მთავარი მოტივაცია იყო. სათქმელად ჩვენცა და თაობებსაც ექნებათ ისეთი მნიშვნელოვანი პროექტების განხორციელება, როგორებიცაა ფურტიო-ბუთურაული-ნენიის, ნიგაზეული-ჩანჩხალოს, ახალდაბის, დაბა შუახევის წყალსადენების მშენებლობა, თაგინურის, გრძელგორის, მერიაყელის, ტყისველას, კატრიანის, ყავრიანის პირუტყვის საზაფხულო საძოვრებზე ელექტრომეურნეობის ახალი ხაზები, ჩირუხში შემოვლითი ხაზების ნაცვლად შუბნიდან ახალი ტრასის გაყვანა... ამ და სხვა პროექტებზე ცენტრალური, რეგიონული და ადგილობრივი ბიუჯეტიდან მილიონობით ლარი იყო გამოყოფილი. მერის მოადგილის პოზიციაზე მყოფს თქვენი გაზეთის მკითხველის წინაშე გამოსვლა პირველად მერგო, რაც დიდ პატივად მიმაჩნია. ამიტომ გადავწყვიტე, გაკეთებულზეც მეთქვა ცოტა რამ, მიმდინარე პროექტებზე უფრო მეტი და კიდევ იმ პრიორიტეტებსა და პროგრამებზე, რაც შუახევის თვითმმართველობაში მომუშავე გუნდს ჩაფიქრებული გვაქვს.

- ორი წელიც არაა გასული, რაც მერის მოადგილის პოზიციაზე მუშაობთ, სოფლის მეურნეობის განვითარება თქვენს საქმიანობასთან უშუალო კავშირშია...

- სიბრძნის ასაკს მიახლოებულს, პრობლემებიც მახსოვს, მათი დაძლევის გზებს თანამოსაქმეებთან ერთად ვპოვლობ, ფერმერებთან ურთიერთობაშიც პირნათელი ვარ. ბუნების ჭირვეულობის მიუხედავად, შემოდგომაზე ნათესებიდან, ზვრებიდან, ხეხილის ბაღებიდან ხელმოცარული არ ვბრუნდებით. ამით იმის თქმა მინდა, რომ მთიელი მიწათმოქმედი (ახლა ფერმერი) ამინდის ჭირვეულობასთან, ბუნების კატაკლიზმებთან ოდითგანვე შეგუებულია. დიდი ჯაფა, წვალება ელის ყოველწლიურად, რომ ბუნებას მოსავალი გამოსტაცოს. კარგად მახსოვს 1999 წლის 19 მაისი, როცა მოვლილი ერთწლიანი კულტურები თოვლის ქვეშ მოექცა; 2006 წლის ოქტომბერი, როცა ნაადრევად მოსულმა თოვლმა მოსავალი გაანადგურა, მრავალწლიანი ხეხილის ბაღები პირწმინდად ჩააქცია. ბუნებამ წელსაც არ დაგვინდო. მაისის მეორე დეკადის დასაწყისში ჭვანის ხეობის მცხოვრებლებმა პირუტყვის კურორტ ბახმაროს შემოგარენში, გრძელგორის, განდრეკილის (შედრეკილის), კარიანის, კიკიბოს, ყავრიანის, ლევნარის საზაფხულო საძოვრებზე მირეკავდნენ. წელს მაისი იწურება და ზედიზედ სამი დღის განმავლობაში მცხუნვარე მზე არ გვინახავს.

- თუ გადავხედავთ ერთწლიანი კულტურების სათეს ტერიტორიებს, დასახნავი იშვიათობაა.

- სოფელს, ტრადიციულ სოფლის მეურნეობის დარგებს კვალიფიციური აგრონომის, გამოცდილი სპეციალისტის თვალი და მზრუნველობა ყოველთვის სჭირდება, ჩვენი მუნიციპალიტეტის მაგალითზე გეტყვით, რომ ფერმერები წელსაც დროულად გაესარჯნენ. რა თქმა უნდა, ჩვენგან ხელშეწყობა არ მოჰკლებიათ. ა(ა)იპ «აგროსერვისცენტრის» ხელმძღვანელობამ აპრილის დასაწყისში ოთხი ერთეული სახნავი ტრაქტორი გამოგვიგზავნა. მათ მიწის ნაკვეთების დახვნა უჩამბის ადმინისტრაციული ერთეულიდან დაიწყეს და შუბნისა და წყალსაყრის ადმინისტრაციულ ერთეულში დაასრულეს. უფასო დახვნის პროგრამით მრავალმა ფერმერმა ისარგებლა. წლები გვაშორებს იმ დროს, როცა უღელი ხარი, ცხენი, გუთანი და ჯიღდა იყო ჩვენებური ფერმერის დამხმარე საშუალებები. პირუტყვს თავისებური მიხედვა, სამუშაოს განსაკუთრებული დრო სჭირდებოდა. ახლა თითოეულ სოფელში 20-25 მოტობლოკია და ნაკვეთების დახვნა, კულტივაცია მათი გამოყენებით მიმდინარეობს, რაც საქმეს მნიშვნელოვნად წინ სწევს.

- ახალდაბის ვაზის სანერგეზე, გორგივლის ხეხილის სანერგეებსა და გორხანაულის საჩითილე მეურნეობაზე რა აზრის ხართ?

- გამრჯე და გონიერი კაცის მარჯვენა დალოცვილია. ვაზის სანერგე მშობლიური სოფლის კარიბჭესთანაა. ერთ დროს მიგდებული ტერიტორია საჩვენებელ ნაკვეთად, ოთხი ადამიანის დასაქმების ადგილად იქცა. შარშან პირველი მოსავალი მიიღეს. წელს აქ გაშენებული ჩხავერის, ცოლიკაურის, საწურის, მეკრენჩხის ჯიშის ვაზისგან კარგ მოსავალს ელიან. ენა პირში არ მოგიბრუნდება, რომ გორგივლის ხეხილის სანერგეზე აუგი თქვა. იქაც ადგილობრივ პირობებთან შეგუებული ვაშლის, მსხლის, ქლიავის ჯიშებია გაშენებული და აჭრილ კალმებს მებაღეები პანტის სანამყენეზე ამყნობენ. კვალიფიციური სპეციალისტი ყველგან რომ გადამწყვეტია, ეს იმ დროსაც კარგად გამოჩნდა, როცა გორხანაულის საჩითილე მეურნეობაში წარმატებული აგრონომი ლაშა ზოიძე მუშაობდა. იმ წლებში ხარისხიანი ჩითილები გამოჰყავდათ და ფერმერებიც მისი გახარებით და ბარაქიანი მოსავლით კმაყოფილნი იყვნენ. ათასობით ძირი პომიდვრის, ტკბილი წიწაკის, ბადრიჯნის, ზღვის კომბოსტოს ჩითილები წელსაც გამოიყვანეს, მაგრამ ადრინდელი ხარისხისა - ვერა, გახარება და მოსავლიანობა კი შემდეგ გამოჩნდება.

- ფერმერებს საქმეს უადვილებდა აგრომაღაზია. მის ამოქმედებაზე რა ინფორმაცია გაქვთ?

- ამ სავაჭრო ობიექტს, მართლაც, დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. მინერალურ სასუქებს, შხამ-ქიმიკატებს, სოფლის მეურნეობისთვის საჭირო ინვენტარს ქედელი, შუახეველი, ხულოელი ფერმერები აქ იძენდნენ. აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტრო, ა(ა)იპ «აგროსერვისცენტრის» ხელმძღვანელობა მის ამოქმედებას ისევ აპირებენ. ობიექტის გაქირავებაზე კონკურსი უკვე გამოცხადდა, მაგრამ მიზეზთა გამო მსურველი არ გამოჩნდა. ალბათ გარკვეული რეგულაციების შემდეგ ობიექტი არენდით გაიცემა და ადრინდელ ფუნქციას შეასრულებს.

- ტურიზმი და სოფლის მეურნეობა ერთმანეთთან კავშირშია. უცხოელი და ადგილობრივი ვიზიტორი ადგილზე წარმოებული ეკოლოგიურად სუფთა ხილით, ბოსტნეულით, თაფლითა და სხვა პროდუქციით ინტერესდება, ამ მხრივ როგორ გვაქვს საქმე?

- კონკრეტულ მაგალითებს მოვიშველიებ. თაგინური კურორტ გომის მთას ესაზღვრება. ბახმაროს შემოგარენში პირუტყვს ვინ მირეკავს უკვე, მითხარით. ზაფხულობით ფერმერები მეცხოველეობის პროდუქტებს ამ კურორტებზე ჰყიდიან. მთა ჩირუხში, ჯინალში, ღომაზე დამსვენებლები როგორც კი გამოჩნდნენ, ტურისტული ობიექტებიც გაჩნდა. ფერმერები პროდუქციას უკვე ადგილზე ასაღებენ. შესაბამისი რაოდენობით და ხარისხით ფერმერებმაც პროდუქტების წარმოება დაიწყეს. ტყემალს მოსახლეობა მხოლოდ საწებლის, ტყლაპის დასამზადებლად იყენებდა, მაგრამ რახან გაიგეს, რომ ამ ხილისგან გამოხდილ არაყს სამკურნალო თვისებები აქვს და მომხმარებელი თანხასაც კარგად უხდის, მის წარმოებასაც შეუდგნენ. მომხმარებელი ვაშლისგან გამოხდილ არაყსაც არ აკლია. რამდენიმე წლის წინ შუახევში ღვინის მარანი, არყის სახდელი საამქრო იშვიათობა იყო. ლაკლაკეთელი ნოდარ კეკერაძე პირველია, რომელმაც თანადაფინანსებით ღვინის მარანი მოაწყო. მას მიმდევრები გამოუჩნდა ოქროპილაურში, დაბაძველში, ჭვანაში.

- მეცხოველეობა შუახევში ტრადიციული დარგი იყო. ბოლო დროს მერძეული პირუტყვის რაოდენობა მნიშვნელოვნად კლებულობს, რატომ?

- ის ხელშეწყობა, რაც ბოლო დროს თვითმმართველობის ადგილობრივი და ქვეყნის, აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტროებისგან მეცხოველეობაში დასაქმებულებს აქვთ, ადრე არავის ახსოვს. მთაში პირუტყვის გასარეკად კეთილმოწყობილი საავტომობილო გზაა, უფასოა ვეტერინარული მომსახურება. მთის სახლების მშენებლობა-რემონტისთვის I ხარისხის მერქნით სარგებლობის ბილეთები ეძლევათ. თითქმის ყველა იალაღი ელექტროფიცირებულია. რიგი ღონისძიებანი ტარდება პირუტყვის ჯიშების გაუმჯობესებისთვის. ის ოჯახები, რომლებსაც საკმაო რაოდენობის პირუტყვი ჰყავთ, აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტროს პროგრამებით სარგებლობენ.

- რამდენად სასიკეთო გამოდგა სარწყავი არხის ა(ა)იპ «აგროსერვისცენტრის» დაქვემდებარებაში გადასვლა?

- ეს ექსპერიმენტი არაა. გვწამს, რომ ამ ნაბიჯით სარწყავ არხებს რეალური პატრონი გამოუჩნდება. შარშანდელი წელი ისე გავიდა, რომ ბესელაშვილებს სარწყავი არხით არ უსარგებლია. არადა, ორი წლის წინ მის შეკეთებაზე საკმაო თანხები დაიხარჯა. ზამთარმა სერიოზულად დააზიანა დაბაძველისა და ოქროპილაურის სარწყავი არხები. დიდი სამუშაოებია შესასრულებელი ცეკვა-ვარჯანაულის, ცინარეთის სარწყავ არხებზე. ცინარეთის არხის აღდგენისთვის, თავიდან 400 ათას ლარზე მეტი დაიხარჯა. 9 კილომეტრზე 150 მმ დიამეტრის პოლიეთილენის მილები ჩაწყვეს, მაგრამ ამ პროექტმა ერთი ზამთარიც ვერ გადაიტანა. შარშან მნიშვნელოვანი თანხა იყო მობილიზებული დანარჩენ ნაწილზე მილების ჩასაწყობად, მაგრამ საქმეს ხელი არავინ მოჰკიდა თანხის სიმცირისა და სამუშაოს სირთულის გამო. აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტროს მილები უკვე შეძენილი აქვს. კონკურსში მონაწილე და გამარჯვებული ფირმა მხოლოდ მათ ჩაწყობაზე იმუშავებს. მისახედია ჯაბნიძეების სარწყავი არხიც. იგი ზოგიერთი ტბეთელის ახირების გამო გაუქმეს. ახლა იმ მონაკვეთზე მილების ჩაწყობა უპრიანი იქნება.

- სპეციალისტი ყველგან და ყველაფერში წარმატების საწინდარია. შუახევში კვალიფიციური აგრონომების, ვეტერინარი ექიმების, ზოოტექნიკოსების ნაკლებობა აშკარაა... ამ მიმართებით რას აპირებთ?

- თვითმმართველობის ხელმძღვანელობის მიზანია, სოფლის მეურნეობაში კვალიფიციური სპეციალისტები მოვიზიდოთ და დავასაქმოთ. როგორც კი სპეციალობის მიხედვით ვაკანსია გაჩნდა, შუახევის მერის წარმომადგენელს ზამლეთის ადმინისტრაციულ ერთეულში ივერი კაკალაძეს რეკომენდაცია გავუწიეთ. ავთანდილ კაკალაძის სადარი სპეციალისტი ქვეყანაში ერთეულებია, მაგრამ იგი ყველას და ყველაფერს ვერ გასწვდება. სოფლის მეურნეობაში დასაქმებული, პირველ რიგში, სოფელს უნდა იცნობდეს, შესაბამისი კვალიფიკაცია უნდა ჰქონდეს.

- მეფუტკრეობა სოფლის მეურნეობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დარგია, რა ვითარება გვაქვს ამ მხრივ?

- ეს დარგი აჭარის მთიანეთის მკვიდრებმა აქ დამკვიდრებისთანავე აითვისეს და წარმატებითაც. კლდეებში ბოგაზე დაწყობილი, წიწვოვან და ფოთლოვან ტყეებში ხეებზე შემოწყობილი ცარიელი სკები ამის დასტურია. ჩვენი წინაპრებიდან მოყოლებული, ახლაც აქაურები ველურ ფუტკარს იმ სკებში დაბინავების წინაპირობას უქმნიან. ოჯახი «გაცოცხლდება» თუ არა, ეზოში გადმოაქვთ და მზრუნველობას არ აკლებენ. ეს მეთოდი აჭარის მთიანეთსა და იმერხევის, ლაზეთის სოფლებშია შემონახული. მისასალმებელია, რომ შუახევში მრავალი კარგი მეფუტკრე ფერმერი გვყავს, წარმატებული ბიზნესი აქვთ. ბევრმა ცალკეული პროგრამითაც ისარგებლა. ჩვენებური გეჯის თაფლი იუნესკომ არამატერიალური კულტურულ მემკვიდრეობის ძეგლთა ნუსხაში შეიტანა. გეჯის თაფლის წარმოებაზე აქვს ორიენტაცია ცნობილ ბიზნესმენს ლევან (ასლან) მჟავანაძეს. იგი «მომავლის სოფელში» 500-მდე ოჯახის მოვლას აპირებს.

„გვწამს, რომ ამ ნაბიჯით სარწყავ არხებს რეალური პატრონი გამოუჩნდება. შარშანდელი წელი ისე გავიდა, რომ ბესელაშვილებს სარწყავი არხით არ უსარგებლია. არადა, ორი წლის წინ მის შეკეთებაზე საკმაო თანხები დაიხარჯა. ზამთარმა სერიოზულად დააზიანა დაბაძველისა და ოქროპილაურის სარწყავი არხები. დიდი სამუშაოებია შესასრულებელი ცეკვა-ვარჯანაულის, ცინარეთის სარწყავ არხებზე. ცინარეთის არხის აღდგენისთვის, თავიდან 400 ათას ლარზე მეტი დაიხარჯა

ქვემო სილეზიის დელეგაცია - აჭარაში

აჭარის უმაღლესი საბჭოს ინფორმაციით, აჭარის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე დავით გაბაიძემ ქვემო სილეზიის დელეგაციას უმასპინძლა, რომლის შემადგენლობაში ქვემო სილეზიის სავოევოდოს სეიმიკის, ტშებნიცას მუნიციპალიტეტის მერიისა და სამედიცინო სფეროს წარმომადგენლები არიან.

უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ სტუმრებს მადლობა გადაუხადა ევროინტეგრაციის გზაზე საქართველოს აქტიური მხარდაჭერისათვის და აღნიშნა, რომ ქვემო სილეზიასა და აჭარას შორის წლების წინ დაწყებული მეგობრული, საქმიანი ურთიერთობები სულ უფრო ფართოვდება და ახალ ფაზაში გადადის.

ინფორმაციაში აღნიშნულია, რომ დელეგაციის ხელმძღვანელმა, ქვემო სილეზიის სავოევოდოს სეიმიკის საერთაშორისო თანამშრომლობის კომიტეტის თავმჯდომარე მიხალ ბობოვიჩმა და ქალაქ ტშებნიცას მერმა მალგოჟატა მატუსიაკმა დავით გაბაიძეს მადლობა გადაუხადეს მასპინძლობისა და აჭარასა და ქვემო სილეზიას შორის თანამშრომლობაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის.

აჭარის უმაღლეს საბჭოში გამართული შეხვედრის შემდეგ, პოლონელი სტუმრები, დავით გაბაიძესთან ერთად, მაღალმთიან აჭარას ეწვივნენ. „შუახევსა და ტშებნიცას შორის თანამშრომლობა გაგრძელებაა იმ ურთიერთობებისა, რომლებიც აჭარასა და ქვემო სილეზიას წლებია, მჭიდროდ აკავშირებს ერთმანეთთან“, - აღნიშნა აჭარის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ ორი მეგობარი რეგიონის მუნიციპალიტეტებს შორის მემორანდუმის გაფორმების ღონისძიებაზე. დავით გაბაიძის შეფასებით, ასეთი პარტნიორული ურთიერთობები არ რჩება მხოლოდ ფურცელზე და აქვს ხელშესახები შედეგები განათლების, ჯანდაცვის, ტურიზმისა და სხვა მიმართულებით. ურთიერთთანამშრომლობის დოკუმენტი, რომელსაც შუახევისა და ტშებნიცას მუნიციპალიტეტების მერებმა ომარ ტაკიძემ და მალგოჟატა მატუსიაკმა მოაწერეს ხელი, სხვადასხვა სფეროში თანამშრომლობას, ერთობლივი პროექტების დაგეგმარება-განხორციელებას ითვალისწინებს.

„მემორანდუმის გაფორმების შემდეგ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ, დელეგაციის წევრებმა და შუახევის თვითმმართველობის წარმომადგენლებმა ყვავილებით შეამკეს 9 აპრილს დაღუპულთა მემორიალი და ქართველი გმირების პატივსაცემად სიმბოლურად დარგეს ხეები. შუახევისა და ტშებნიცას მუნიციპალიტეტებს შორის მეგობრული და საქმიანი ურთიერთობების დაწყების ნიშნად, გაიმართა საზეიმო ღონისძიება, რომელშიც ადგილობრივი შემოქმედებითი კოლექტივები მონაწილეობდნენ“, - აღნიშნულია ინფორმაციაში.

ამირან ბურიელიძე

დასაქმება – ჩვენი ქვეყნის მუდმივი პრობლემა და მისი მოგვარების გზები

დარინა გაბაიძე 514 22 22 80

ჩვენი საზოგადოების გარკვეული ნაწილი საკუთარი პროფესიით დასაქმებული არ არის. უმაღლეს სასწავლებლებში ჩარიცხული სტუდენტების მობილობის მაჩვენებელი წლიურად 17 000-ზე მეტია, რაც საკმაოდ მაღალი მაჩვენებელია. მათგან რამდენი ასრულებს უნივერსიტეტს ისე, რომ ჯერ კიდევ ვერ რეალიზდა, ვერ დასაქმდა ან დასაქმებულია იმ პოზიციაზე, რომელიც მისთვის არასასურველია... და აქ კარიერულ კონსულტანტებს უამრავი ადამიანის ცხოვრების უკეთესობისკენ შეცვლა შეუძლიათ

ჩვენს ცხოვრებაში, კონკრეტულად, რისი შეცვლა შეუძლიათ და რას საქმიანობენ კარიერული კონსულტანტები? - ამ და სხვა საინტერესო საკითხებზე კარიერული კონსულტირების შემსწავლელი პროგრამის ლექტორი, ლიდერი და მენტორი ***ქეთი გაბინაშვილი*** *გვესაუბრება.*

- ჩვენს რეალობაში „კარიერული კონსულტანტის“ პროფესია რამდენად მოთხოვნადია?

- ბოლო ერთი წლის განმავლობაში 200 ადამიანზე მეტს დავეხმარე პროფესიულ ორიენტაციასა და დასაქმებაში. აქედან გამომდინარე, თავად განსაზღვრეთ, არის თუ არა მოთხოვნა ამ პროფესიაზე. ბედნიერი ვარ, რომ ჩემი წვლილი შემაქვს ახალი თაობის კარიერული კონსულტანტების „გამოზრდაში“, რაც, თავისთავად, დადებითად იმოქმედებს ჩვენს ქვეყანაში სხვადასხვა სფეროში პროფესიონალთა რაოდენობის ზრდაზე და ხელს შეუწყობს სულ უფრო მეტი ადამიანის კარიერულ რეალიზაციას. ეს ერთ-ერთი მიზეზია, რის გამოც ჩემი პროფესია მიყვარს.

- თქვენი საქმიანობის ძირითადი მიმართულება...

- პროფესიული ორიენტაცია და დასაქმებაა. პროფესიული ორიენტაცია არის სისტემური პროცესი, რომლის დროსაც ადამიანი საკუთარ თავში ჩაღრმავებით და სამუშაო ბაზრის ანალიზით არჩევს მისთვის ყველაზე შესაფერის პროფესიას, რომლით მუშაობაც მისთვის სასიამოვნო და მამოტივირებელია. ხომ გაგიგიათ: „იპოვე საქმე, რომელიც გიყვარს და... ერთი დღეც არ მოგიწევს მუშაობა“. პროფესიული ორიენტაციაც სწორედ ამ შედეგს უზრუნველყოფს. განსაკუთრებით მორგებულია აბიტურიენტებზე, რომლებიც ახლა ირჩევენ პროფესიას, ამასთან, ნებისმიერ ადამიანზე, რომელიც ახლა ირჩევს ან იცვლის პროფესიას. რაც შეეხება დასაქმებას, ეს მუდმივი პრობლემაა ჩვენი ქვეყნისთვის და მისი მოგვარება კარიერულ კონსულტანტთან ერთად უფრო მარტივია. ჩვენ ვეხმარებით დასაქმების მსურველებს კონკურენტუნარიანი რეზიუმეს შედგენასა და სამოტივაციო წერილის დაწერაში, ვამზადებთ გასაუბრებისთვის, ხელფასზე მოლაპარაკებებისთვის, დასაქმებულებს კი ვეხმარებით ახალ სამსახურში სოციალიზაციასა და დაწინაურებაში. ვაგვარებთ ემოციური „გადაწვის“ პრობლემას და ვუმაღლებთ თავდაჯერებულობას პროფესიული კუთხით.

- თქვენ ხართ „კარიერული განვითარების ცენტრის“ ლექტორი. რა მიზანს ემსახურება იგი და რა სერვისს სთავაზობთ მომხმარებლებს?

- „კარიერული განვითარების ცენტრი“ მერი ტარიელაშვილის პლატფორმაა, რომელიც წლებია, ფსიქოლოგიით და თვითგანვითარებით დაინტერესებულ ადამიანებს სთავაზობს საგანმანათლებლო ონლაინკურსებს და მარათონებს. პროექტი, რომელსაც გამოვარჩევდი, არის პარტნიორული პროგრამა - „კარიერული კლუბი“. იგი ამჟამად ათეულობით ადამიანს აერთიანებს და საოცარ შედეგებს აღწევენ ერთობლივად. ბედნიერი ვარ, რომ ერთ-ერთი ლიდერი ვარ ამ კლუბში. ნებისმიერ მსურველს შეუძლია გახდეს წევრი, გაიჩინოს ძალიან კარგი სანაცნობო წრე და მიუახლოვდეს წარმატებას.

- პროფორიენტაციის პროგრამაზე მუშაობის დროს რა გამოწვევებს აწყდებით და რას ურჩევთ აბიტურიენტებს და მათ მშობლებს?

- სერიოზული პრობლემებია ამ კუთხით, რადგან აბიტურიენტს და სკოლის მოსწავლეს არ აქვს იმდენი ინფორმაცია პროფესიებზე, რომ დამოუკიდებლად მიიღოს გადაწყვეტილება, ამიტომ პროცესში აქტიურად მონაწილეობს მშობელთა და მასწავლებელთა სუბიექტური აზრი, რაც, სამწუხაროდ, მომავალში პროფესიის არასწორად არჩევას, ამით უკმაყოფილებასა და სამსახურებრივ თვითრეალიზაციაში ჩავარდნებს განაპირობებს. აბიტურიენტებს ვურჩევდი, რამდენადაც შესაძლებელია, შეისწავლონ საკუთარი უნარები, თვისებები, ღირებულებები, მომავალი პროფესია, მშობლებს კი ვურჩევ, დაეხმარონ შვილებს პროფესიებზე ობიექტური ინფორმაციის მოძიებაში, შეასრულონ მშობლის უპირველესი როლი - მხარი დაუჭირონ შვილების გადაწყვეტილებებს. ვიცი, არის რაღაც საკითხები, რაშიც თვლით, რომ მათი პასუხისმგებლობა უნდა გაინაწილოთ, მაგრამ პროფესია ის საკითხია, რაც, ნამდვილად, თავად უნდა აირჩიონ. თუ გაგიჭირდებათ გადაწყვეტილების მიღება, შეგიძლიათ საქმეში ჩართოთ კარიერული კონსულტანტიც - ეს სერვისი უკვე არსებობს ჩვენს ქვეყანაში. კბილი რომ გტკივათ, სტომატოლოგთან ხომ მიდიხართ? როცა „ტკივილი“ პროფესიის არჩევას ეხება, მიმართეთ შესაბამის პროფესიონალს.

- ეფექტურ რეზიუმეს რამდენად დიდი მნიშვნელობა აქვს დღეს დასაქმების ბაზარზე?

- მიმოიხედეთ გარშემო, რამდენი ადამიანი გყავთ 2 დიპლომით და დაუსაქმებელი?! ძალიან ბევრი! აი, ეგ არის თვითპრეზენტაციის და გაყიდვის უცოდინრობა, როცა ადამიანი მართლაც პროფესიონალი, განათლებული, გამოცდილია, მაგრამ ვინ იცის ამის შესახებ?! მხოლოდ მან და მისი ოჯახის წევრებმა. უნდა ვისწავლოთ, როგორ ვაჩვენოთ ჩვენი ძლიერი მხარეები მომავალ დამსაქმებელს. თუ ეს არ შეგვიძლია, ვერ ვიქნებით კონკურენტუნარიანები. რეზიუმე არის სწორედ ის, რითაც დამსაქმებელს დავანახებთ, რამდენად მაგრები ვართ, რეზიუმეს კი სწორად შედგენა სჭირდება, მას არ უნდა ჰქონდეს ცხრილის ან უბრალო ქრონოლოგიის სახე, სადაც ჩამოწერილია, რომელ წელს სად ვიმუშავეთ და რამდენი ხნით. რეზიუმეს შექმნასაც ცოდნა უნდა და ეს ნამდვილად აგვარებს დასაქმების პრობლემას.

- როგორ ვიპოვოთ საკუთარი თავი კარიერასა და ცხოვრებაში?

- ევოლუციურად, გადარჩენა და გარემოში ადაპტაცია დგას ძლიერი მხარეების დემონსტრირებაზე. ალბათ, გაგიგიათ: „მხოლოდ ძლიერი გადარჩება“. მთავარი პრინციპი რომ აგიხსნათ, დღეს თუ შევისწავლი საკუთარ ძლიერ მხარეებს, ნიჭს, უნარებს და ვიპოვი ჩემთვის შესაბამისსა და სასურველ სამუშაო სფეროს, შევძლებ, ვიყო კონკურენტუნარიანი პროფესიონალი, რომელსაც წინ ვერავინ დაუდგება. თუ ჩემთვის შეუსაბამო ადგილას მოვხვდები, საშუალოზე ძლიერიც კი ვერ ვიქნები. წარმოიდგინეთ, მუსიკალური სმენა რომ არ მქონდეს და ოპერის მომღერლად დავიწყო მუშაობა - დაახლოებით იგივე პრინციპია. ყველა ადამიანი უნიკალურია, ყველას გვაქვს ძლიერი და სუსტი მხარეები, მთავარია, ისინი აღმოვაჩინოთ, ძლიერი კიდევ უფრო გავაძლიეროთ და ასე დავიმკვიდროთ ადგილი საზოგადოებასა და კარიერაში.

- თუ ადამიანს უკვე არჩეული აქვს პროფესია, რომლითაც მუშაობს, აქვს კარგი ანაზღაურება, მაგრამ თავს ვერ გრძნობს შემდგარად, რასთან გვაქვს საქმე?

- ასეთი შემთხვევა საკმაოდ ხშირია და ხდება მაშინ, როცა ადამიანი თავისი ღირებულებებით თანხვედრაში ვერ მოდის პროფესიასთან. დგება მომენტი, როცა აცნობიერებს, რომ ანაზღაურებაც კარგი აქვს, გრაფიკიც, პროფესიაც პრესტიჟულია და თითქოს საოცნებო მდგომარეობაშია, მაგრამ მაინც არ არის კმაყოფილი. ეს ხდება მაშინ, როცა ჩვენი ღირებულებებით და მისიით ვერ ვემთხვევით საქმეს, რომელსაც ვაკეთებთ და აქ წამალი მხოლოდ ერთია - სფეროს შეცვლა ან დამატება, რაც არასდროს არის გვიან. ზოგადად, ბედნიერებისკენ სწრაფვა არასდროსაა გვიან, პროფესიული ბედნიერებაც ბედნიერებაა და თუ არ ხართ კმაყოფილი იმით, რასაც აკეთებთ, მიმართეთ ცვლილებებს. ადამიანები ერთხელ მოვდივართ ამქვეყნად და ვიმსახურებთ, ისე მოვიწყოთ ცხოვრება, რომ მაქსიმალური კმაყოფილება ვიგრძნოთ.

- რას ურჩევთ მათ, ვისაც „ემოციური გადაწვა“ ემართებათ და რა არის ამის გამომწვევი მიზეზი?

- დგება ხოლმე ცხოვრებაში მომენტი, როცა თენდება და საწოლიდან ადგომა არ გვინდა, თითქოს დავიღალეთ, გვგონია, რომ ყველაფერი ამაოა, აზრი არაფერს აქვს. ვერ ვხვდებით, ცვლილება გვინდა ამ დროს თუ, უბრალოდ, დასვენება. პირველი, რაც უნდა გააკეთოთ, შესვენებაა. თუ ის დადებით შედეგს ვერ მოიტანს, შეგიძლიათ დაიწყოთ ფიქრი სიახლეებზე, იმაზე, რატომ არ ხართ ბედნიერი. პროცესში კვლავ და კვლავ შეგიძლიათ ჩართოთ კარიერული კონსულტანტი, რომელიც შეძლებს, უმოკლეს დროში გაპოვნინოთ პრობლემის მიზეზი და დაგანახოთ გამოსწორების გზები.

- თუ ეთანხმებით მოსაზრებას „სამყარო იმდენს იხდის თქვენში, რამდენიც ღირხართ“ და თუ მოუხდენია ამ ფრაზას თქვენს ცხოვრებაზე გავლენა?

- იყო პერიოდი, როცა არ ვეთანხმებოდი და მეც მეგონა, რომ პროფესიონალი კი ვარ, მაგრამ ვერასდროს მოვხვდები სასურველ პოზიციაზე - ეს ხომ საქართველოა, აქ ხომ ყველგან ნაცნობობაა, მეტს ვიმსახურებ, მაგრამ ვერ მივიღებ, რადგან ყველგან ნეპოტიზმია... ახლა როცა ამას ვიხსენებ, მეცინება. თვითონ აღმოვაჩინე საკუთარ თავში ის გამოწვევები, რაც ხელს მიშლიდა, ვყოფილიყავი ის, ვინც ახლა ვარ. ვიპოვნე ეს პრობლემები, მათზე ვიმუშავე და ახლა, მართლაც, სამყარო ჩემში იმდენს იხდის, რამდენიც ვღირვარ და ეს ფასი დღითი დღე იმატებს.

- შესაძლებლობები როგორ მოვიზიდოთ?

- შესაძლებლობის გამოყენება-გამოუყენებლობა პრიორიტეტების საკითხია, თითოეულ ჩვენგანს ხშირად ეძლევა კარგი შესაძლებლობა, თუმცა სამყარო ჩვენგან უარს იღებს ხოლმე, ვიგონებთ უამრავ მიზეზს: „ჯერ მზად არ ვარ“, „ჯერ ამის დრო არ არის“, „ჯერ ავიღო მაგისტრის დიპლომი და - მერე“, „მოდი, ერთ ხარისხსაც დავიმატებ და მერე“... ცხოვრება კი მიდის და სადღაც 35 წლის ასაკში აღმოვაჩენთ ხოლმე, რომ ვერ გავხდით კომპანიის დირექტორი, არადა, ვაპირებდით, არ გვაქვს საკმარისი შემოსავალი, არადა, გვინდოდა. გვექნებოდა, თუ პრიორიტეტებს სწორად დავალაგებდით. ამას ვამბობ ორი შვილის დედა, რომელმაც არცერთ კარგ შესაძლებლობაზე არ თქვა უარი და იქამდე მივიდა, რომ შეუძლია, ახლა უკვე გაზეთის ფურცლიდან მოგაწვდინოთ ხმა.

- თამაშის წესების შეცვლა თუ არის შესაძლებელი და - რა სისტემით?

- ყოველთვის შესაძლებელია! ჩვენ ვცხოვრობთ გარკვეულ სტანდარტებში, გვგონია, რაღაც თავისით უნდა მოხდეს, არადა, თავისით არაფერი ხდება. ზოგჯერ საკმარისია ერთი პატარა ნაბიჯი, ერთი პატარა ინიციატივა, რომ ადამიანმა ბევრად გაიუმჯობესოს ცხოვრება და საკუთარი თავის საუკეთესო ვერსია გახდეს. კარიერულ კონსულტანტს ამაშიც შეუძლია თქვენი დახმარება.

- როგორია ერთმანეთისაგან განსხვავებულ ინდივიდებთან მუშაობის პროცესი?

- თითოეული მათგანის სიტუაციაზე ინდივიდუალურად ვმუშაობ. გავწერთ მოქმედების სქემას და მივყვებით. შევისწავლით სამუშაო გარემოს, უშუალო ხელმძღვანელის პიროვნულ მახასიათებლებს და ზუსტად ვიცით, როგორ უნდა მივუდგეთ, რომ ჩვენი მიწოდებული ინიციატივები მიიღოს და პროფესიონალიზმი დაინახოს. ეს არის დაწინაურებამდე და ხელფასის მომატებამდე მისასვლელი გზა, რომელიც თუ არ იცი, ერთსა და იმავე პოზიციაზე იმუშავებ 7 წელი, ცხოვრება გვერდით ჩაგიფრენს და 35-40 წლის ასაკში აღმოაჩენ, რომ ოცნებების მესამედიც ვერ აისრულე.

- ხშირად ამბობენ, ქალი თუ კარიერაში წარმატებულია, პირად ცხოვრებაში ვერ აღწევს წარმატებას ან პირიქით. თქვენ ამ სტერეოტიპს ამსხვრევთ. როგორ ფიქრობთ, გაგიმართლათ, თუ ეს თქვენი და მეუღლის დამსახურებაა?

- ვფიქრობ, ადამიანებს ყველაფერში ჩვენი არჩევანის და მიღებული გადაწყვეტილებების შესაბამისი შედეგები გვაქვს. ჩემი არაჩვეულებრივი მეუღლე და ჩემი შვილების მამა, რომელიც მართლაც არაჩვეულებრივია, ჩემი არჩევანია და ყველაზე სწორი არჩევანი - ჩემს ცხოვრებაში! ჩემი თითოეული წარმატების უკან, თამამად შემიძლია ვთქვა, მისი ძალისხმევა დევს. დღეს ვინც ვარ, მის გარეშე ვერ ვიქნებოდი, ჩემი ყველაზე დიდი გულშემატკივარი და მეგობარია. მოკლედ, მისით აღფრთოვანებული ვარ და ჩემი ყველაზე დიდი წარმატება მისი ჩემს ცხოვრებაში ყოფნაა, ამის ფასი არაფერია - არც კარიერული წინსვლა, არც ჩემი საქმე, არც სტატუსი და არც არაფერი! არაფერს ექნებოდა აზრი, ის რომ არ მყოლოდა. არ მიყვარს, როცა ადამიანები რაღაცებს ბედისწერას აბრალებენ, ჩვენ თვითონ ვაშენებთ ურთიერთობებს და კარიერასაც. ყველაფერი, რაც მაქვს ან არ მაქვს, ჩემი გადაწყვეტილების შედეგია, მე ვისურვე, ვიბრძოლე, რომ მქონოდა და მე ავაშენე, ყოველდღე ვდგამ ნაბიჯებს, რომ გავხდე უკეთესი პროფესიონალი, უკეთესი დედა, უკეთესი ცოლი! თუ გინდათ, ამას ბედისწერა დაარქვით, თუ გინდათ - არჩევანი.

კიბერსივრცისა და კიბერუსაფრთხოების არსი

თამაზ მგზავრიძე 27 48 94

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომათა დარბაზში, საგარეო საქმეთა სამინისტროს ნატოსა და ევროკავშირის შესახებ საინფორმაციო ცენტრის ორგანიზებით, შეხვედრა გაიმართა თემაზე „კიბერსივრცისა და კიბერუსაფრთხოების არსი, გამოწვევები და შესაძლებლობები“.

შეხვედრას საინფორმაციო ცენტრის წარმომადგენელი აჭარის რეგიონში ირმა გაბინაშვილი და მოწვეული სპიკერი, კიბერუსაფრთხოების ბიუროს ინფორმაციული უსაფრთხოების უფროსი მენეჯერი აკაკი შეყელაძე უძღვებოდნენ.

- საინფორმაციო სესიაზე ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებმა კიბერჰიგიენის ძირითად მიდგომებსა და ონლაინ სივრცეში არსებული პრობლემების, ასევე საფრთხეების გამკლავების მეთოდებზე დეტალური ინფორმაცია მიიღეს, - გვითხრა ირმა

თანაბარი შანსი – ტიპური და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებისთვის

ჩვენი სტუმარია ქედის მუნიციპალიტეტის დოლოგნის საჯარო სკოლის პედაგოგი ანჟელა ბერიძე. იგი ინკლუზიური განათლების მიმართულებით მრავალწლიანი მუშაობის გამოცდილებას გვიზიარებს

- ინკლუზიური განათლების მიზანია, დაიცვას ყველა მოსწავლის ხარისხიანი განათლების მიღების უფლება. ყველა ადამიანი თანასწორია მისი ფიზიკური თუ გონებრივი შესაძლებლობების მიუხედავად. ჩვენი მიზანია, შევძლოთ იმ მრავალფეროვანი საზოგადოების მიღება და აღიარება, რასაც აღიარებს ინკლუზიური განათლება. დოლოგნის საჯარო სკოლის ინკლუზიურ განათლებაში ჩართულმა სპეციალისტებმა, სპეციალურმა მასწავლებლებმა - მე და დარინა მალაყმაძემ, შევიმუშავეთ პროექტი, თუ როგორ გვეზრუნა ინკლუზიური განათლების დანერგვასა და ხელშეწყობაზე არა მხოლოდ სასკოლო საზოგადოებაში, არამედ მთლიანად დოლოგნის თემში. შესაბამისად, დავიწყეთ მოხალისე მოსწავლეთა მოძიება. პროექტს დავარქვით „ინკლუზიური განათლების მხარდამჭერი თაობა“. მოსწავლეთა აქტიური ჩართულობით დავგეგმეთ მრავალფეროვანი აქტივობა და დავიწყეთ პროექტზე მუშაობა, რომელშიც ჩაერთო ათი მოხალისე მოსწავლე სხვადასხვა კლასიდან და რამდენიმე საგნის მასწავლებელი.

- რა არის პროექტის ძირითადი მიზანი?

- ცნობადობისა და მიმღებლობის გაზრდა დოლოგნის საჯარო სკოლასა და თემში; მოსწავლეთა დაინტერესება ინკლუზიური განათლებით; თანაბარუფლებიანი და ინკლუზიური გარემოს შექმნა სკოლაში; სოციალური უნარების განმტკიცება მოსწავლეებში; ინკლუზიურ განათლებასთან დაკავშირებული სტერეოტიპების დამსხვრევა საზოგადოებაში; მოსწავლეებში მიმღებლობისა და მხარდაჭერის უნარის განვითარება და გამოცდილების გაზიარება არა მარტო მოსწავლეებთან, არამედ საზოგადოებაში; ბულინგის პრევენცია. აღვნიშნეთ, რომ ინკლუზიური განათლება ეს არის მიმართულება, რომელსაც შეუძლია თანაბარ პირობებში ჩააყენოს ტიპური და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეები და მისცეს თანაბარი შანსი, მიიღონ მათ შესაძლებლობებზე მორგებული ხარისხიანი განათლება.

- მოხალისეები რამდენად იყვნენ მზად პროექტში მონაწილეობისთვის?

- სანამ უშუალოდ პროექტზე მუშაობას შევუდგებოდით, მნიშვნელოვანი იყოს ის, თუ რას ფიქრობდნენ და რა ცოდნა ჰქონდათ მოხალისე მოსწავლეებს ინკლუზიური განათლების შესახებ. დავსვით რამდენიმე კითხვა, მივიღეთ მცდარი პასუხები და წარვმართეთ მუშაობა სწორი ინფორმაციის გაცვლის მიზნით. კერძოდ: მოსწავლეებს მივაწოდეთ ინფორმაცია, რომელიც გულისხმობდა ინკლუზიურ განათლებასთან დაკავშირებული სტერეოტიპების დამსხვრევას და სწორი ტერმინების დამკვიდრებას. ისინი დაესწრნენ აუტიზმის ცნობადობის ამაღლებასთან დაკავშირებით გამართულ ღონისძიებას, სადაც ღიად დასვეს კითხვები აუტისტური სპექტრის შესახებ. შეხვედრას ხელმძღვანელობდა კლინიკური ფსიქოლოგი, ქცევითი თერაპევტი, აუტისტური სპექტრის მქონე ბავშვთა პროგრამის ხელმძღვანელი „ევექსის“ კლინიკაში, ქალბატონი ანა ჩაჩუა. მოსწავლეებმა საზოგადოებაში ჩაატარეს გამოკითხვა „რა არის ინკლუზია?“ გამოიკითხნენ არა მხოლოდ ადგილობრივი მცხოვრებლები, არამედ სხვადასხვა ქვეყნის მოქალაქეები. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ მოსწავლეებმა კარგად გაართვეს თავი უცხოელებთან კომუნიკაციას. კვლევაში მონაწილე ყველა პირი წერილობით აფიქსირებდა საკუთარ აზრს ინკლუზიის შესახებ ანონიმურობის დაცვით და ათავსებდა ყუთში, რომლის დამზადებაზეც წინასწარ იზრუნეს მოსწავლეებმა. ჩატარებულმა კვლევამ გვაჩვენა, რომ ნამდვილად საჭირო იყო ამ მიმართულებით მუშაობა არა მხოლოდ სკოლაში, არამედ თემში. დაიგეგმა აქტივობა ინკლუზიური განათლების, როგორც ცნების სწორ კონტექსტში წარმოჩენისთვის. მოსწავლეებმა გარკვეული დრო დაუთმეს ბუკლეტების ხელით დამზადებას, სადაც გაწერილი იყო ინფორმაცია ინკლუზიის შესახებ და ხაზგასმით იყო ნაჩვენები საზოგადოებაში დამკვიდრებული მცდარი ტერმინების სწორი შესაბამისობა. გვქონდა წარდგინება დაუნის სინდრომსა და აუტისტურ სპექტრზე. მოსწავლეებმა დაამზადეს საინფორმაციო ბანერი, რომელზეც მითითებული იყო წარდგინების თემა, დრო, ადგილი. ასევე, სოციალურ ქსელში გამოაქვეყნეს პოსტი და საზოგადოებას მიაწოდეს ინფორმაცია დოლოგნის საჯარო სკოლაში დაგეგმილ ღონისძიებაზე. შეხვედრას დაესწრნენ მშობლები, მასწავლებლები, მოსწავლეები, თემის წარმომადგენლები და მცხოვრებლები. მოსწავლეებს მივაწოდეთ რამდენიმე სიტუაციური ამოცანა, რომელიც ემსახურებოდა ინკლუზიური განათლების არსის გაგებას. ვაჩვენეთ ფილმი „როგორ ინგრევა კედელი“, რომელმაც დიდი ინტერესი და ემოცია გამოიწვია. მოსწავლეებმა გამოიტანეს დასკვნა, რომ ყველა ადამიანს შესწევს ძალა, დაანგრიოს ცხოვრებისეული კედელი, რომელიც მათ გარკვეულ ბარიერს უქმნის. მეტწილად, საზოგადოების მხარდაჭერით.

- რა მიზანს ისახავდა ბათუმის 26-ე სკოლაში მოხალისეების სტუმრობა?

- იქიდან გამომდინარე, რომ ინკლუზიური განათლება განსაკუთრებით მხარს უჭერს და იცავს იმ ბავშვთა განათლების მიღების უფლებას, რომლებიც საჭიროებენ მხარდაჭერას სასწავლო და ყოველდღიურ პროცესში, გადავწყვიტეთ, თანადგომის მიზნით, ვსტუმრებოდით 26-ე საჯარო სკოლას, სადაც ინკლუზიური სწავლების ცენტრია. პროექტში ჩართულმა მოსწავლეებმა წინასწარ დაგეგმეს აქტივობები სხვადასხვა კლასში სხვადასხვა საგნის მიხედვით. პროცესში დაცული იყო შშმ პირთა კონფიდენციალურობა. მოხალისეები მთელი მონდომებით ცდილობდნენ ყველა მოსწავლე თანაბრად ჩაერთოთ პროცესში.

- კლასებში რა სიახლეები გამოიყენეთ?

- პირველ კლასში გავმართეთ აქტივობები „სიტყვის კორიანტელი“ „ანბანის ქოლგა“, რაც კითხვის, აღქმისა და სისწრაფის უნარების გაუმჯობესებაში ეხმარება ბავშვებს. მე-5 კლასში - „აქტივობა მეხსიერებისა და სენსორული უნარების განვითარებისთვის“. მე-6 კლასში - ინტელექტუალური თამაში: რა? სად? როდის? - სხარტი აზროვნების, კითხვის, წერის, თანამშრომლობის უნარების, ლოგიკური აზროვნების განვითარებისთვის, დანარჩენ კლასებში აქტივობა კულინარიას დავუთმეთ. ჩვენ არ ვწყვეტთ მუშაობას და ინკლუზიური განათლების დანერგვისა და ხელშეწყობის მიზნით, მივმართავთ ყველა მოტივირებულ სპეციალურ მასწავლებელს, ერთად გავაგრძელოთ პროექტი, რომელიც ხელს შეუწყობს მოსწავლეებში მიმღებლობის გაზრდას და იმის გაცნობიერებას, რომ განსხვავებულობა არის ნორმა, რაც ინკლუზიური განათლების ძირითადი იდეაა. ვფიქრობთ, რომ ეს პროექტი მოტივაციური გზავნილია ახალი თაობისთვის, რათა მათ უფრო მეტად დავანახოთ მხარდაჭერისა და აღიარების აუცილებლობა საზოგადოებაში. ყველა ადამიანი იმსახურებს ინკლუზიურ გარემოს, რომელსაც ვქმნით ჩვენ - ადამიანები, პირველ რიგში კი ჩვენივე მიმღებლობითა და მხარდაჭერით.

- თქვენ გარდა, პროექტის ორგანიზატორები ვინ არიან?

- დარინა მალაყმაძეზე უკვე გითხარით. მასთან ერთად, ინკლუზიური განათლების მხარდამჭერი თაობის წევრები არიან: გიგა, ნინი, თიკა საფარიძეები, ლუკა ბედინაძე, ასლან მიქელაძე, ჯული კოჩაძე, საბა ჯინჭარაძე, მარიზა ოსანაძე, მარიკა აბაშიძე, მარიამ დუმბაძე, მაგდა ვარშანიძე.

> *„კვლევაში მონაწილე ყველა პირი წერილობით აფიქსირებდა საკუთარ აზრს ინკლუზიის შესახებ ანონიმურობის დაცვით და ათავსებდა ყუთში, რომლის დამზადებაზეც წინასწარ იზრუნეს მოსწავლეებმა. ჩატარებულმა კვლევამ გვაჩვენა, რომ ნამდვილად საჭირო იყო ამ მიმართულებით მუშაობა არა მხოლოდ სკოლაში, არამედ თემში“*

ფილმის ჩვენება – სოფლის სკოლაში

შუახევის მუნიციპალიტეტის სოფელ ბრილის საჯარო სკოლის დირექცია და პედაგოგები კლასგარეშე მუშაობას სასკოლო რეფორმის მოთხოვნათა შესაბამისად წარმართავენ. კლასგარეშე მუშაობის ერთ-ერთი ფორმაა ცალკეულ კლუბებთან ურთიერთობები. კლუბ „CineDoc brilis“ პროგრამის ფარგლებში, მოსწავლეებმა, პედაგოგებთან ერთად, ფილმი „ფუტკრების დედოფალი“ ნახეს. ჩვენებას კლუბის დამფუძნებლები არჩილ ხეთაგური, ილეანა სტანცულესკუ და ტაკიძეების საჯარო სკოლის მენტორი მასწავლებელი შუშანა ტარიელაძე ესწრებოდნენ.

ჩვენების შემდეგ გაიმართა დისკუსია, რომელსაც კლუბის წევრები ლუკა და ანა ზოიძეები უძღვებოდნენ.

კლუბის ორგანიზატორებმა და პედაგოგებმა მოსწავლეებს დავალება მისცეს, რომ ისწავლონ ფუტკართან ურთიერთობები, როგორ გამოიყენება ბაბუაწვერა მედიცინაში და სხვ.

- მოსწავლეებმა მადლიერების გრძნობით დატოვეს დარბაზი. კლუბისა და მისი დამფუძნებლების საქმიანობა სასიკეთო შედეგს მალე მოგვიტანს. უდავოდ მისასალმებელია ბრილის საჯარო სკოლის დირექციის დამოკიდებულება. მათ მთის სოფელში, მცირეკონტინგენტიან სკოლაში იმაზე მეტი გააკეთეს, რასაც ქალაქების სკოლებში პრობლემად მიიჩნევენ, - გვითხრა არჩილ ხეთაგურმა.

სინდაურსა და ჯუმუშაურში

სინდაური და ჯუმუშაური სოფელ ოლადაურის მოსაზღვრე უბნებია.

შუახევის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტიდან მობილიზებული თანხებით ამ უბნებში რამდენიმე მნიშვნელოვანი პროექტი განხორციელდა, თუმცა საკმარისი არ აღმოჩნდა - სინდაურში თენგიზ ქარცივაძისა და რომან ბერიძის საცხოვრებელ სახლებს მეწყრის საფრთხე ემუქრებოდა და საყრდენი კედლის ამოყვანას ითხოვდნენ, ხოლო ჯუმუშაურის უბანში არჩილ და ზვიად ფუტკარაძეების საცხოვრებელ სახლებთან საავტომობილო გზა არ მიდიოდა.

მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობამ ორივე უბნის მცხოვრებთა გასაჭირი ყურად იღო და შესაბამისად 39,6 და 27,5 ათასი ლარი გამოყო პრობლემის მოსაგვარებლად. ამ ეტაპზე, ინფრასტრუქტურული სამუშაოები აქტიურად მიმდინარეობს.

შუახევის მუნიციპალიტეტის მერი ომარ ტაკიძე, საკრებულოს თავმჯდომარე როსტომ ლორთქიფანიძე, საკრებულოს წევრები თენგიზ ივანაძე, ვახტანგ ფუტკარაძე და მერის მოადგილე გურამ ზოიძე მიმდინარე სამუშაოებს გაეცნენ და დადებითად შეაფასეს.

ამ ორ ობიექტზე სამუშაოებს შპს „მიზანი-2020“ ასრულებს, დასაქმებულია ადგილობრივი მოსახლეობა.

უფასო სამედიცინო აქცია – მახუნცეთში

მახუნცეთის ადმინისტრაციულ ერთეულში „ქირურგიის ეროვნული ცენტრის ბათუმის კლინიკამ“ უფასო სამედიცინო გამოკვლევების აქცია მოაწყო. ასამდე პაციენტმა ისარგებლა კარდიოლოგის, თერაპევტის, ანგიოქირურგის, ზოგადი ქირურგის, ჰემატოლოგის, ნევროლოგის, გასტროენტეროლოგის, ენდოკრინოლოგის, რადიოლოგის, ტრავმატოლოგის და ოჯახის ექიმის მომსახურებით.

პაციენტებს ჩაუტარდათ გარკვეული ინსტრუმენტული კვლევა, მიეცათ დანიშნულება და რეკომენდაცია შემდგომი კვლევების გასაგრძელებლად.

აქციაში ჩართული იყო „ავერსი ჯგუფი“ და ექიმის დანიშნულების მიხედვით, გარკვეულ პაციენტებს, „ავერსის“ მედიკამენტები გადაეცა.

აქციის მიმდინარეობას ქედის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე იმედა ვასაძე, აჭარის უმაღლესი საბჭოს ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური დაცვის საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე ილია ვერძაძე და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

გვერდი მოამზადა
ოთარ ცინარიძემ

თექაზე მუშაობა მისი ცხოვრების განუყოფელი ნაწილია

მარიამ ხითარიშვილი 27 48 93

შეუძლია მიიღოს მრავალნაირი ფორმა, აჩვენოს სამყაროს ყველა ფერი, მისი არსებობა დაიწყოს და არ დასრულდეს - ათასწლეულებს გადააბიჯოს. მოერგოს დროს და არ ჩანდეს ძველმოდური - ეს უნივერსალური მასალა თექაა

მისი დამზადების ტექნოლოგია დღემდე დიდ ინტერესს იწვევს. მატყლის დამუშავება და თექის მომზადება საკმაოდ შრომატევადია, მაგრამ საბოლოო შედეგით უკმაყოფილო არავინ რჩება. ის შეიძლება გახდეს სამოსი: ქუდი, შარფი, პალტო, ჟილეტი, ფეხსაცმელი, ქამარი ან იყოს მხოლოდ ფონი - დეკორაცია, ნაკეთობის დეტალი. იყოს ნაბადი, ტომარა, ხალიჩა, ცხენის აღკაზმულობაც კი, გახდეს ხელოვნების ნიმუში, მხატვრული ტილო, გააჩნია, რას დაინახავს მასში ოსტატის თვალი.

ჩვენი სტუმარია მხატვარ-დიზაინერი ***მზია გუიღლიშვილი,*** *რომელიც აჭარის ხალხური ხელოვნების სკოლაში ტრადიციული რეწვის განყოფილებას ხელმძღვანელობს.*

- ქალბატონო მზია, ყოველთვის ამ სფეროში მოღვაწეობდით?

- დიზაინი ჩემთვის მუდმივი ინტერესის სფერო იყო. ბავშვობაში, ბებიას დამსახურებით, ყოველთვის ვქარგავდი, ვკერავდი ტანსაცმელს, ვაწყობდი სამკაულებს და სხვა. 15 წლის ასაკში ჩავაბარე ბათუმის სამხატვრო სასწავლებელში. ამის შემდეგ იყო თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია - ტანსაცმლის დიზაინის მიმართულებით. მას შემდეგ, უკვე 30 წელია, ჩემი პროფესიით ვმოღვაწეობ.

- როდის დაიწყეთ თექით ხელნაკეთი ნივთების დამზადება?

- თექის ნაწარმზე მუშაობა დაახლოებით 15 წლის წინ დავიწყე. იმ პერიოდში თექის პროდუქტი არცთუ ისე პოპულარული იყო, განსაკუთრებით, მშრალი თექის ნემსით დამუშავება. დროთა განმავლობაში, ისევე როგორც დიზაინის სხვა მიმართულებებში, საკუთარი თავი ამ სპეციფიკაშიც აღმოვაჩინე. ჩემი პირველი მცდელობა თექის ნაწარმთან დაკავშირებით იყო სხვადასხვა აქსესუარის დამზადება, მათ შორის გახლდათ კლიმტის „კოცნა“, რომელიც თექაზე გადმოვიტანე. ამ ნამუშევრების საშუალებით დიდი წარმატება მოვიპოვე. ისინი საფრანგეთში გაიგზავნა და დიდი გამოფენა მოეწყო. ამ მომენტში მივხვდი, რომ თექაზე მუშაობა ჩემი პროფესიული ცხოვრების განუყოფელ ნაწილად უნდა მექცია.

- თექაზე მუშაობა საკმაოდ რთული და შრომატევადი პროცესია. მასზე რატომ შეაჩერეთ არჩევანი?

- მუდმივად სიახლეს ვეძებ, მზად ვარ გამოწვევებისთვის. 15 წლის წინ, როდესაც თბილისში თოიძის სასწავლებელში ვმუშაობდი მხატვარ-დიზაინერად, თექაც ასეთივე გამოწვევა აღმოჩნდა ჩემთვის. მიუხედავად იმისა, რომ მისი შესწავლა და მუშაობა მარტივი პროცესი ნამდვილად არ ყოფილა, იმდენად დიდ სიამოვნებას ვიღებდი და დღემდე ვიღებ, რომ გადავწყვიტე, ეს პროცესი მოკლევადიანი არ ყოფილიყო და ის ჩემი პროფესიის განუყოფელ ნაწილად უნდა მექცია.

- მზა თექას ყიდულობთ თუ თავად ამუშავებთ?

- ვყიდულობთ შეღებილ, მზა მატყლს, რომელიც მზადაა დასამუშავებლად. შემდეგ, ესკიზის შესაბამისად, ვქმნი ხელნაკეთ ნივთებს, როგორც მშრალი, ისე სველი ტექნიკით.

- რა შეიძლება იყოს თქვენი შთაგონების წყარო?

- სიყვარული. მის გარეშე ვერცერთ ნაკეთობას ვერ შევქმნიდი ისეთს, როგორიც არის. თექის შექმნის პროცესი არის ხელოვნება, ხელოვნება და სიყვარული კი ჩემთვის ერთმანეთისგან განუყოფელი ნაწილებია. ის ბუნებასთანაც გაახლოვებს და შენი სულიერი საზრდო ხდება.

- ძირითადად რა ნივთებს ამზადებთ?

- ვაკეთებთ უამრავი სახის ნამუშევარს: სამკაულებს, შარფებს, ქუდებს, ჟილეტებს, მარაოებს, ყვავილებს, სათამაშოებს, ნახატებს და სხვა.

- რამდენადაა მოთხოვნა ხელნაკეთ ნივთებზე?

- მოთხოვნა საკმაოდ დიდია. მოგეხსენებათ, ბათუმი და, ზოგადად, აჭარა ტურისტული ადგილია, ამდენად, ტურისტების მხრიდან დაინტერესებაც საკმაოდ დიდია. იგივე შემიძლია ვთქვა ადგილობრივ მოსახლეობაზე.

- თქვენი ნამუშევრების რეალიზებას რამდენად ახერხებთ? გყავთ მომხმარებელი, ვინც ამა თუ იმ ნივთს გიკვეთავთ?

- დიახ, ვახერხებ საკუთარი ნამუშევრების რეალიზებას. მოთხოვნა თექის ნაწარმზე მაღალია. არიან მომხმარებლები, რომლებიც უკვე დამზადებულ პროდუქციას ყიდულობენ და ისეთებიც, რომლებსაც კონკრეტული პროდუქტი სურთ და შეკვეთით ვამზადებ.

- როგორც ვიცით, თექაზე მუშაობას ასწავლით...

- აჭარის ხალხური ხელოვნების სკოლაში, სადაც გახლავართ ტრადიციული რეწვის განყოფილების ხელმძღვანელი, შევქმენით თექის ნაწარმისა და აქსესუარების მომზადების პროგრამა, რომლის პირველი გამოშვება დიდი წარმატებით დასრულდა. უკვე მეორე მიღებაც განხორციელდა და მე-3 კვირაა, ისიც წარმატებით მიმდინარეობს. რაც შეეხება უფრო დეტალურ ინფორმაციას პროგრამასა და შინაარსთან დაკავშირებით, გეტყვით, რომ ჩვენთან სწავლა უფასოა, გვაფინანსებს პროფესიული უნარების სააგენტო. ასაკი შეუზღუდავია და კონკურსის საშუალებით 15 აპლიკანტი მიიღება. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წინაპირობაა, რომ აპლიკანტს ჰქონდეს საბაზო ან სრული ზოგადი განათლება. რაც შეეხება უშუალოდ პროგრამას, მიმდინარეობს 18 კვირის განმავლობაში და ამ პერიოდში შეისწავლება თექის მშრალი და სველი ტექნიკა, ბოლოს კი პროფესიული სერტიფიკატი გაიცემა.

- გაიხსენეთ თქვენი ყველაზე რთული ნამუშევარი, განსაკუთრებით რომ მოგწონთ.

- ჩემი ერთ-ერთი ყველაზე რთული, თუმცა საუცხოო და სამუშაოდ სასიამოვნო ნამუშევარია „დიონისეს ნიღაბი“, რომელიც თექაზე გადმოვიტანე. თითოეული ნაკვთის შექმნისა და შეხების დროს ის ცოცხლდებოდა და მეუფლებოდა შეგრძნება, თითქოს მის სამყაროში ვცხოვრობდი.

- დიდი ზომის თექაზე თუ გიმუშავიათ?

- დიახ, შექმნილი მაქვს თექის ქსოვილი, რომელიც პიჯაკებისა თუ სხვადასხვა ტანსაცმლისთვის გამო-

იხ. მე-8 გვ.

ნოდარ მიქელაძის ნახატების გამოფენა

თამაზ მგზავრიძე 27 48 93

დოლოგნის ადმინისტრაციულ ერთეულში ფოლკლორული საღამო გაიმართა, რომელსაც ქედის მუნიციპალიტეტის მერი როლანდ ბერიძე ესწრებოდა

საღამო გაიხსნა მხატვარ ნოდარ მიქელაძის ნახატების გამოფენით. წარმოდგენილი იყო მხატვრის როგორც ძველი, ისე ახალი ნამუშევრები, ეთნოგრაფიული და ხელნაკეთი ნივთები.

ფოლკლორულ ღონისძიებაში მონაწილეობდნენ სასოფლო კლუბის ხელმძღვანელები, ხელოვანები, პოეტები, პედაგოგები, დოლოგნის მკვიდრნი და მოწვეული სტუმრები.

საღამო ადგილობრივმა მომღერლებმა, მახუნცეთის კულტურის სახლთან არსებულმა ქალთა კვარტეტმა და მეჭიბონე თემურ არძენაძემ მუსიკალური ნომრებით გაალამაზეს.

უკრაინა

ჩვენი გამარჯვების შემდეგ მშვიდობაზე ვოცნებობთ, - განაცხადა უკრაინის პრეზიდენტმა ვოლოდიმირ ზელენსკიმ იაპონიაში, „დიდი შვიდეულის“ სამიტის ფარგლებში გამართულ პრესკონფერენციაზე. უკრაინის პირველი პირის თქმით, ის ჰიროსიმაში იმყოფება, რათა მსოფლიომ მოისმინოს უკრაინის მოწოდება ერთიანობისკენ. ზელენსკის თქმითვე, „რუსეთმა გათელა ყველაფერი, რაც ცივილიზებულია“. „ვოცნებობთ ტერიტორიების დაბრუნებაზე, ისევე როგორც დავიბრუნეთ ჩრდილოეთი ტერიტორიები, რომლებიც რუსეთის მიერ იყო ოკუპირებული, უნდა დავიბრუნოთ ჩვენი აღმოსავლეთი და სამხრეთი ტერიტორიები. ჩვენ ვოცნებობთ რუსეთის ტყვეობაში მყოფი ჩვენი ხალხის დაბრუნებაზე“, - განაცხადა ზელენსკიმ.

* * *

უკრაინის დამცველებმა ბახმუტთან, ზოგიერთ ტერიტორიაზე დაახლოებით 200 მეტრით წინ წაიწიეს, - ამის შესახებ უკრაინის შეიარაღებული ძალების აღმოსავლეთ სარდლობის პრესსპიკერმა სერჰი ჩერევატიმ განაცხადა. „ბახმუტი ოკუპანტის პრიორიტეტულ სამიზნედ რჩება, ისინი ცდილობენ მთელი ქალაქი თავიანთი კონტროლის ქვეშ მოაქციონ. კვირის განმავლობაში, ჩვენი ქვედანაყოფები იქ, სადაც შესაძლებლობაა, სადაც დანაკარგების დიდი რისკი არ არის, წინ მიიწევდნენ, კონტრშეტევას ახორციელებდნენ. ამ დღეებში, ზოგიერთ ტერიტორიაზე დაახლოებით 200 მეტრით წინ წაიწიეს“, - განაცხადა სერჰი ჩერევატიმ. შეგახსენებთ: 21 მაისს, კერძო სამხედრო კომპანია „ვაგნერის“ ხელმძღვანელმა ევგენი პრიგოჟინმა განაცხადა, რომ „ვაგნერის“ დაქირავებულმა მებრძოლებმა ბახმუტი აიღეს.

* * *

უკრაინის თავდაცვის ძალებმა დნეპროპეტროვსკის ოლქის თავზე 4 ფრთოსანი რაკეტა და 15 უპილოტო საფრენი აპარატი გაანადგურეს, - ამის შესახებ ოლქის სამხედრო ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა სერგეი ლისაკმა „ტელეგრამ“ არხზე დაწერა. მისი ინფორმაციით, თავდასხმის შედეგად დნეპრის რაიონში სამაშველო განყოფილების რამდენიმე შენობა დაზიანდა და 27 წლის მამაკაცი დაშავდა. „ორი ხანძარი გაჩნდა, რომლებიც უკვე ლიკვიდირებულია. განადგურდა 10-ზე მეტი სატვირთო და მსუბუქი ავტომობილი, დაზიანდა ამდენივე სპეცტექნიკა, 25 კერძო ავტომობილი და 2 ავტობუსი“, - განაცხადა ლისაკმა. მისი თქმით, რუსებმა ასევე დაარტყეს კერძო საწარმოს დნეპრში, რის შედეგადაც 3 შენობა დაზიანდა, სინელნიკოვის რაიონში კი თავდასხმის შედეგად 7 ადამიანი დაშავდა. „დაზიანდა 3 კერძო სახლი და 9 საცხოვრებელი კორპუსი, ასევე საბავშვო ბაღი, მაღაზიები და ადმინისტრაციული შენობები“, - განაცხადა დნეპროპეტროვსკის ოლქის გუბერნატორმა.

* * *

რუსეთი, დიდი ალბათობით, უკრაინაზე დარტყმების განხორციელების მიზნით, ახალ „ელიტარულ“ ავიაჯგუფს ქმნის, - ამის შესახებ გაერთიანებული სამეფოს თავდაცვის სამინისტროს დაზვერვის სამსახურზე დაყრდნობით მომზადებულ ანგარიშშია აღნიშნული. უწყების ცნობით, ქვედანაყოფი სახელწოდებით „შტორმი“, სავარაუდოდ, მოიცავს Su-24 FENCER და Su-34 FULLBACK ტიპის გამანადგურებელ-ბომბდამშენების მინიმუმ ერთ ესკადრონს და თავდასხმის ვერტმფრენების ესკადრონს. „თვითმფრინავების ტიპების ნაზავი მიანიშნებს, რომ ჯგუფს სახმელეთო თავდასხმის მისიებში მთავარი როლი ექნება“, - აღნიშნულია ანგარიშში. უწყებაში აცხადებენ, რომ სანდო რუსული მედიის ცნობით, რუსეთის თავდაცვის სამინისტროს სურს, მოიზიდოს მაღალკვალიფიციური მფრინავები დიდი ანაზღაურების შეთავაზებით და პენსიაზე გასული პილოტები დაიქირაოს. „ჯგუფის შექმნა ხაზს უსვამს რუსების შეფასებას, რომ მათმა რეგულარულმა საჰაერო ძალების ესკადრონებმა სერიოზულად ვერ შეძლეს უკრაინის პოზიციებზე საჰაერო თავდასხმების განხორციელების ძირითადი ფუნქციის შესრულება“, - აღნიშნულია ანგარიშში.

* * *

ევროკავშირის უმაღლესი წარმომადგენელი საგარეო პოლიტიკისა და უსაფრთხოების საკითხებში ჟოზეფ ბორელი იმედოვნებს, რომ უკრაინისთვის F-16-ების გადაცემა მალე დაიწყება. ამის შესახებ მან ბრიუსელში, ევროკავშირის საგარეო საქმეთა მინისტრთა საბჭოს სხდომის დაწყებამდე განაცხადა. ბორელი მიესალმა უკრაინისთვის თანამედროვე მოიერიშე თვითმფრინავების მიწოდების გადაწყვეტილებას და აღნიშნა, რომ ქვეყნის თავდაცვის ძალებს ეს სჭირდებათ. „პილოტების მომზადება უკვე დაწყებულია და იმედი მაქვს, რომ მალე შევძლებთ, უკრაინას ეს იარაღი მივაწოდოთ“, - აღნიშნა მან. დიდმა ბრიტანეთმა საერთაშორისო კოალიციის შექმნა გამოაცხადა, რომელიც მიზნად ისახავს უკრაინელი მფრინავების მომზადებას მეოთხე თაობის გამანადგურებლებზე, მათ შორის F-16-ზე. კოალიციაში უკვე შედის დიდი ბრიტანეთი, ნიდერლანდები, ბელგია, დანია, შეერთებული შტატები და პორტუგალია. თეთრმა სახლმა ასევე დაადასტურა, რომ უახლოეს თვეებში შეერთებული შტატები და მოკავშირეები განიხილავენ, როდის და რა რაოდენობით F-16-ს მიიღებს უკრაინა. უკრაინის შეიარაღებული ძალების საჰაერო ძალების წარმომადგენელმა იური იგნატმა განაცხადა, რომ F-16-ების მიღების შემდეგ უკრაინა ომს მოიგებს.

მოამზადა
ნაირა ფუტკარაძემ

მთავარი რედაქტორი
მარინა მითაიშვილი

გამომშვები რედაქტორი
ირმა შერვაშიძე

ლიტერატურული რედაქტორი
ეთერ ხომერიკი

რედაქცია პასუხს არ აგებს უცხოური პრესიდან თარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე, აგრეთვე სარეკლამო განცხადებების შინაარსსა და სტილზე.
(R) ნიშნით აღნიშნული სტატიები იბეჭდება რეკლამის უფლებით.
რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

გამომცემელი - შპს «ბაზეთი აჭარა და ადჟარია»
პოლიგრაფიული მომსახურება - შპს «კოლორ პრესი»
მის: ქ. თბილისი, ე. ბაღდავაძის ქ. №3

მისამართი: 6000, ბათუმი, გრიგოლ ფეოდოვის ქ. №2ბ
ტელ: 27-13-31
აინაწყო და დაკაბადონდა გაზეთ «აჭარის» კომპ. ცენტრში
დასაბეჭდად ხელმოწერილია 22/05/23, 22 40 სთ.

დირექტორი
მამუკა ბერიძე

სცენაზეა უმშვენიერესი ხელოვნება

მანანა ძიძიშვილი 598 24 94 97

ბათუმის ვახტანგ ჭაბუკიანის სახელობის კლასიკური ბალეტის სკოლის (დირექტორი - ირმა მსხალაძე) აღსაზრდელებმა თანაქალაქელები ულამაზეს სანახაობაზე - საანგარიშო-გამოსაშვებ კონცერტზე მიიწვიეს, რომელიც, ტრადიციულად, მაისის ბოლოს იმართება

ამ სკოლის აღსაზრდელები ბოლო რამდენიმე წელია მნიშვნელოვან წარმატებებს აღწევენ როგორც საქართველოში გამართულ კონკურსებსა თუ ფესტივალებზე, ისე უცხოეთში. სკოლა საანგარიშო-გამოსაშვებ საღამოზე ყოველთვის არაერთი სიახლითა და აუცილებლად, საპრემიერო ჩვენებითაა წარმოდგენილი. ამჯერად კონცერტზე - „ქორეოგრაფიული მინიატურები“ ის ნომრები შესრულდა, რაც ლატვიაში კონკურს-ფესტივალზე ჰქონდათ წარდგენილი. ეს იყო ცალკეული მინიატურები და ვარიაციები მსოფლიოში ცნობილი კომპოზიტორების საბალეტო სპექტაკლებიდან. ამას გარდა, სცენაზე პირველად გამოვიდნენ მოსამზადებელი ჯგუფის პატარა აღსაზრდელები (პედაგოგი - ელეონორა არჩაია-გაგუა) და კონცერტი, ტრადიციულად, მათი გამოსვლით დასრულდა.

აუცილებლად უნდა ვახსენოთ ბალეტის სკოლის წლევანდელი ხელშესახები წარმატება - კონკურს-ფესტივალიდან „რიგის გაზაფხული 2020-2023“ სკოლა სპეციალური გრან პრით - „ბრინჯაოს ბალერინა“ დაგვიბრუნდა. ამას გარდა, ყველა ნომინაციაში (კლასიკური, თანამედროვე, სახასიათო), სხვადასხვა ასაკობრივი კატეგორიის გათვალისწინებით, არაერთი საპრიზო ადგილი დაისაკუთრა.

ეს ერთადერთი ქორეოგრაფიული სასწავლებელია ჩვენს რეგიონში, სადაც მსურველი ბალეტის მსახიობის პროფესიას ეუფლება. დღეისათვის სკოლაში 130-ზე მეტი მოსწავლეა 9 კლასში. სკოლაში ასწავლიან პროფილურ საგნებსაც - უპირველესად, კლასიკურ და სახასიათო ცეკვას, მსოფლიოს ხალხთა ცეკვებს, თანამედროვე ბალეტს (მოდერნი), ასევე, ისწავლება ქართული ცეკვა. აქ თეორიულ საგნებსაც შეისწავლიან, როგორიცაა მსახიობის ოსტატობა, თეატრისა და ბალეტის ისტორია, ეთიკა და ესთეტიკა, გრიმის ხელოვნება. პირველიდან მეხუთე კლასის ჩათვლით ისწავლება ფორტეპიანოზე დაკვრა. აქ არა მხოლოდ სწავლებაა უფასო, ყველაფერს სახელმწიფო აფინანსებს.

რიგაში ბათუმელი მოცეკვავეები მეორედ მიიწვიეს, პირველად - 2018 წელს. მაშინ ჟიურის შემადგენლობაში ჩვენი პრიმა-ბალერინა ნინო ანანიაშვილი გახლდათ (წელს ამერიკაში გასტროლის გამო ვერ ჩავიდა) და მან პირადად გადასცა ჩვენს ბალერინებს კონკურსის სპეციალური პრიზი „სვაროვსკის გედი", რომელსაც სკოლაში სიამაყით ინახავენ.

როგორც აღვნიშნეთ, საანგარიშო-გამოსაშვებ კონცერტს ეს სკოლა ყოველწლიურად ატარებს, თუმცა, პანდემიის გამო, ბოლო ორი წელი არ გამართულა. წლევანდელი საღამო იმით იყო გამორჩეული, რომ მოსწავლეებმა ყველაზე მეტი კლასიკური ნომერი წარმოადგინეს, რითაც სკოლამ გაამართლა თავისი სახელი - კლასიკური ბალეტის სკოლა. რა თქმა უნდა, სახასიათო ცეკვებიც შესრულდა მსოფლიოს საბალეტო სპექტაკლებიდან, წარმოდგენილი იყო ქართული ნომრები, რომლებიც ასევე ძალიან უყვარს მაყურებელს. საანგარიშო კონცერტზე ის კურსდამთავრებულებიც გამოიყვანეს (ქრისტინა მახარაძე და ელისაბედ რომანაძე), რომელთა გამოშვების დროს, პანდემიის გამო, კონცერტი არ ჩატარებულა. წელს პედაგოგ ელეონორა არჩაია-გაგუას მოსწავლეების გამოშვებაა - მხოლოდ ორი მოსწავლე ამთავრებს და აქ ეს ჩვეულებრივი მოვლენაა. თავიდან ბევრი მოდის, მაგრამ შემდეგ ყველა ვერ ახერხებს, დატვირთულ გრაფიკს აუწყოს ფეხი და სკოლაში ყველაზე ძლიერები რჩებიან. ამჯერად სკოლას ამთავრებენ ელენე კარაკეშიშიანი, რომელმაც რიგაში, ნომინაციაში „თანამედროვე ცეკვა“ მესამე ადგილი აიღო და ნინი სურმანიძე (პედაგოგი - ელეონორა არჩაია-გაგუა).

იმ საღამოს სცენაზე 7-წლიდან დაწყებული 15 წლის ასაკამდე, 130 მოსწავლე იდგა. სულ ცხრა კლასი იღებდა მონაწილეობას. მოსწავლეებმა 26 საბალეტო ნომერი წარმოადგინეს - კლასიკური, სახასიათო, თანამედროვე და ქართული.

მოცეკვავეები ყოველწლიურად ულამაზესი კოსტიუმებით გამოდიან, რომლის დიზაინერ-შემსრულებლები მზია ჩიკვაიძე და ირინე გოგუაძე არიან. დაახლოებით 150 კოსტიუმი შეიკერა.

სცენაზე ვიხილეთ პედაგოგების - ელეონორა არჩაია-გაგუას, ნატალია მარტიროსიანის, ეკატერინე ღლონტის, ანი ფირცხალაიშვილის, სალომე კორკოტაშვილის, მარიკა სიხარულიძის, მზია ფუტკარაძის აღსაზრდელები.

- ქალაქში არაერთი ხელოვნების კერა გვაქვს, მათ შორის, ბათუმის დრამატული, თოჯინებისა და მოზარდ მაყურებელთა თეატრები, ქორეოგრაფია ხომ სასწაულია, მაგრამ ის, რაც დღეს ვნახეთ, ნამდვილად გამორჩეული და ისეთია, რომლის ნახვაზე უარი არასოდეს უნდა ვთქვათ. ეს არის მაღალი ხარისხის ხელოვნება. ამის დამამტკიცებელი კი ისაა, რომ აღსაზრდელები ყოველთვის მონაწილეობენ სხვადასხვა მაღალი დონის საერთაშორისო კონკურსებსა და ფესტივალებში. დღესაც გენიალური საღამო იყო, ყველაფრით გამორჩეული, - აღნიშნა აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილე აკაკი ძნელაძემ.

ხალხით გადაჭედილ დარბაზში გამოსვლა ყოველთვის სასიამოვნოა. მაყურებელი ტაშით აჯილდოვებდა თითოეულ ნომერს, ბოლოს კი ფეხზე ამდგარი დიდხანს უკრავდა ტაშს მოცეკვავეებს, რაც მათ ნამდვილად დაიმსახურეს. ამ გამოსვლით გაამართლეს რიგაში მიღებული დიდი ჯილდო, ეს კი მთელი კოლექტივის დამსახურებაა, თითოეული იმ ადამიანის, ვინც თავდაუზოგავად შრომობდა და ამ წუთებისთვის მთელი წელი ემზადებოდა.

თექაზე მუშაობა მისი ცხოვრების განუყოფელი ნაწილია

მე-7 გვერდიდან

- ზომების მიხედვით, რა დრო სჭირდება ერთ ნივთს და რა სიხშირით ქმნით ახალ ნამუშევრებს?

- გააჩნია ნამუშევარს და სირთულეს. შესაძლოა, რამდენიმე საათში დავასრულო ან რამდენიმე დღე დამჭირდეს. სიხშირეც ინდივიდუალურია.

- არსებობს საფრთხე, რომ წინასწარ გამზადებული ესკიზი ან კონტური დაირღვეს?

- არსებობს, თუმცა, ძირითადად, სველი ტექნიკის შემთხვევაში, მშრალ ტექნიკაში - არა.

- რა ემოციას იწვევს თქვენივე ნამუშევრები თქვენში?

- ჩემი ნამუშევრების ყურების დროს უსასრულობის შეგრძნება მეუფლება. როდესაც ერთ ნამუშევარს ვაკვირდები, ჩემს გონებაში უკვე ახალი იქმნება და ასე გრძელდება უსასრულოდ. წინა ნამუშევარი მომდევნოს მოტივაციაა.

- მატყლის ფერების არჩევანი დიდია?

- დიახ, საკმაოდ მრავალფეროვანი არჩევანია. მოიპოვება როგორც ბუნებრივი ფერები, ასევე, შეღებილი.

- გამოფენებში თუ მონაწილეობთ?

- საკმაოდ ხშირად. პირველი მასშტაბური გამოფენა 2001 წელს ჩატარდა თბილისის სამხატვრო აკადემიაში და მას შემდეგ, აქტიურად ვმონაწილეობ გამოფენებში. მათ შორის ბოლო პერიოდში მქონდა ძმები ნობელების სახელობის ტექნოლოგიურ მუზეუმში გამოფენის სერიები.

- რა გეგმები გაქვთ?

- ჩემი სამომავლო გეგემები თექასთან დაკავშირებით ითვალისწინებს ჩვენებას, სადაც წარმოდგენილი იქნება თექით შექმნილი ტრადიციული სამოსი თავისივე აქსესუარებით.

კომენტარი ვთხოვეთ ჩვენს კოლეგას, გაზეთ „აჭარის“ ყოფილ ჟურნალისტს, აჭარის უმაღლესი საბჭოს მასმედიასა და საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის უფროს სპეციალისტ **მანანა მიქელაძეს,** რომელიც ქალბატონი მზიას მოსწავლეა და, როგორც თავად გვითხრა, სიამოვნებით შეისწავლა თექაზე მუშაობა.

- ჩემს ოჯახში დღესაც გვაქვს ბებიის, მამიდის ხელით ნაქსოვი ხალიჩები, ფარდაგები, ნაქარგები, თექით დამზადებული ნივთები. საოცარი ფერები და ქართული ორნამენტებია მათზე. ყოველთვის მინდოდა მესწავლა ამ ყველაფრის თავად დამზადება, თუმცა, როცა ამის სურვილი გამიჩნდა, უკვე სტუდენტი ვიყავი, თანაც სიშორისა და დროის გამოც, ყოველთვის ვერ ვახერხებდი ბებიასთან და მამიდასთან ჩასვლას. მერე ორივე გარდაიცვალა და სურვილიც სურვილად დარჩა. თექის შემსწავლელი კურსის დაარსების თაობაზე სრულიად შემთხვევით გავიგე. ხალხური ხელოვნების სკოლის დირექტორმა ვახტანგ ბერიძემ დიდი სტიმული მომცა საამისოდ, დავრეგისტრირდი, გავიარე ყველა შესაბამისი პროცედურა და... ასე აღმოვჩნდი ქალბატონ მზია ბუიღლიშვილთან. სასწაულების სამყაროა ოთახში, სადაც ქალბატონი მზიაა. მიუხედავად იმისა, რომ თექის დამზადება დიდ ძალისხმევას მოითხოვს და საკმაოდ შრომატევადია, მზია მასწავლებელი და მთლიანად, სკოლის ადმინისტრაციის წარმომადგენლები გეხმარებიან, დაძლიო სირთულეები. მე, ქალბატონმა მზიამ, ჩემს ასაკშიც კი, მიუხედავად ჩემი ცხოვრების დატვირთული რიტმისა, მასწავლა, როგორ შეიძლება გადაღლილიც კი არ გრძნობდე დაღლას, რომ თუ მოინდომებ, ეს გრძნობა შეიძლება სტიმულად აქციო. იმისთვის, რომ შექმნა ახალი, განსხვავებული რამ, რაც ადამიანებს გაახარებს. უამრავ საოცარ ადამიანს შევხვედრივარ ჩემი პროფესიის წყალობით, თუმცა გამაოცა მზია ბუიღლიშვილმა - მასთან იმ სამყაროში ხარ, სადაც მხოლოდ ხალისი, სილამაზე, სიკეთე და ის განწყობაა, რომელიც გამუდმებით გიზიდავს. მადლობა მინდა გადავუხადო მთლიანად ხალხური შემოქმედების სკოლას, მის ადმინისტრაციას, რომელიც დიდ ქართულ საქმეს აკეთებს.